საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიცყვაა, ცყალობით და ჯიბეებით ბუნთის გაფანა ყველა უკანასკნელ უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 1-2 აგვისტო. 2022 წ. №107-108 (9445-9446) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

თქვენ ზევითა ხართ, ჩვენ ქვევით, როგორ აგიმღვრევთ წყალსაო!..



ქართველი ხალხი ნეო-კოლონიალისტურ ზრახვებს ჯერჯეროობით უმკლავდება!

საქართველოს შეუძლია, კარგი პარტნიორი იყოს, თუ მეორე მხარე თავისი ხელით არ მოკლავს ამ შანსს

2 3

4

ელამი პოლიტიკა

რწყილი დაანწვინეს და აქლემი აშობინეს

მოდის სხვა ჯამაათი, მიდის სხვა მასლაათი

ვახტანგ ჯავახაძე



90 წელი შეუსრულდა თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ პოეტს ვახტანგ ჯავახაძეს!

ვულოცავთ საუკუნესთან მიახლოებას და ვაქვეყნებთ პოეტის ორ ახალ ლექსს.

ჩემი ათეულები ჩემი ოთხმოცდაათი

ჩემი ათეულები – ჩემი ოთხმოცდაათი,
მილიონი ღამე და მილიარდი საათი.
გამახსენდა ჭაბუა, პიკასო და საადი
და დაიწყო ტაატი, ტაატი და ტაატი.
ენა მეგმის: მაოცევს კამაათი მაათი –
მოდის სხვა ჯამაათი, მიდის სხვა მასლაათი,
დასრულდება ყოველი ესე ერიჰაათი,
და შენ გადათვალე და დაატიე, დაატი
რიცხვთა საკრებულოში შენი ოთხმოცდაათი.
ჩემი ათეულების ეიფელის ხუხულა –
ისევ ენა მეგმის და –
მემემეუხერხულა.

გაგრძელება

პასპორტს ამართლებს მეტრიკა,
მომწონს სიზუსტე მათი
და ჩემი არითმეტიკა –
ასს გამოვაკლოთ ათი.
გრძელდება ურთიერთობა
დღეთა და ღამეთანი,
მაპატიევით, ღმერთებო,
ეს ჩემი ნამეტანი...

მამუკა გიორგაძე:

არასამთავრობო სექტორის 90 პროცენტი 5 პარაზიტი და უსაქმურია!

დავით ქართველიშვილი:

საკაშვილმა „მთავარი არის“ 6 ფეიკი ამხილა!



საქართველოსა და საფრანგეთის სახელით!

10

„ჯილდოდ ხალხის სიყვარულიც მეყოფა“



№107-108. ორშაბათი-სამშაბათი, 1-2 აგვისტო, 2022 წელი.

ქართველი ხალხი ნეოკოლონიალისტურ ზრახვებს ჯერჯერობით უმკლავდება!

1. **უკრაინის ომის მთავარი შედეგი ჩვენთვის, ქართველებისთვის ისაა, რომ პოლიტიკაში ნაკლებად ჩახედული ადამიანებისთვისაც თვალსაჩინო გახდა ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება, მიზნები და ამოცანები საქართველოს მიმართ (უკრაინის მიმართაც, მაგრამ ეს ჩვენ, ჯერჯერობით, ვიდრე უკრაინას ზელენსკის ხელისუფლება მართავს, არ გვეხება), 2008 და 2014 წლებში გაჩენილ ეჭვებს 2022-მა წელმა, რომ იტყვიან, ბეჭედი დაუსვა.**

ჩვენი ახალი „უფროსი ძმისა“ და „მთავარი სტრატეგიული პარტნიორისთვის“ საქართველო ხან გაცვლითი ბანქოს ქაღალდია, ხანაც საზარბაზნე ხორცი, გააჩნია ვითარება და გარემოებები რას მოითხოვს. მწარე რეალობაა, სამწუხარო სინამდვილეა, მაგრამ რეალობაა, ფაქტია.

რუსები იტყვიან — „ნეტ ხუდა ბეზ დაბრა“, ანუ ყველა უარყოფითს რაღაც დადებითიც ახლავსო. ჩვენ შემთხვევაში ერთი მნიშვნელოვანი დადებითი ისაა, რომ ისტორიის უმძიმეს გამოცდას, 24 თებერვლიდან მოყოლებული, წარმატებით ვუმკლავდებით. საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის ამ ეტაპზე ხელისუფლებაც და ხალხიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

უკრაინის ომთან დაკავშირებულმა მოვლენათა განვითარებამ დიდი დახმარება გაგვიწია, კიდევ ერთხელ გავმყარებულიყავით იმ რწმენაში, რომ რუსეთის ბატონობისგან თავის დახსნის ორასწლიანი ეკლიანი გზა იმისთვის არ გაგვივლია, რომ სხვა ქვეყნის კოლონიად ვქცეულიყავით.

* * *

კელი დეგნანის მხილება არც ჩემი და არც სხვა სიმართლის მთქმელების ახირება არ არის. **უბრალოდ, ქალბატონი ელჩი ხორციელი გამოხატულებაა იმ პოლიტიკისა, რასაც ჩვენი ქვეყნის ნეოკოლონიალიზმის ახალ ჭაობში შეთრევის მცდელობა შეიძლება ეწოდოს.** გულწრფელად რომ ითქვას, **ეს ქალბატონი ადამიანურად მეცოდება** კიდეც. მის წინაშე მდგარი არამეგობრული და არაპარტნიორული ამოცანების შენიღბვისა და გახშირებული უხერხული ვითარებიდან თავის დაძვრენის მიზნით, იმდენი სამარცხვინო „არგუმენტის“ მოშველიება, იმდენი ტყუილის თქმა უწევს, რომ...

ბოლო ორი კვირის მოვლენები გავიხსენოთ: ჯერ იყო და, მისი აქაური სადაქალო-საძმაკაცოსა (გიგაური, ლომჯარია, მარგველაშვილი, უსუფაშვილი და სხვ.) და „მეგობარი“ უკრაინელი „პოლიტიკოსების“ თავგადაკლული მცდელობებისთვის, **მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით,** სცადა თავისი ძალიან გამჭვირვალე კალთა გადაეფარებინა — მსგავსი არაფერი გამიგია, „რუსული ნარატივით“ ნუ მესაუბრებითო; მერე, მამხილებელი კითხვებისგან კუთხეში მიმწყვდეულმა, თავი სილაში ჩარგო, **ყაველაშვილის წერილი ბოლომდე არც წამიკითხავსო(?)**; ბოლოს, მოსამართლის სანქცირების თემაზე, თავის თავსაც აჯობა და რა მოხდა მერეო, ეს ხომ „რუტინული ამბავიაო“, ანუ **მოსამართლისთვის ანგარიშის მოთხოვნა და თავისი კერძო მიზნებისთვის არასასურველი გადაწყვეტილებისთვის მისი სანქცირება (დასჯა) „რუტინული ამბავიაო“(?).**

მხოლოდ უტიფრობას თუ უწოდებ იმას, რომ მისი ეს შეურაცხმყოფელი, ჭეშმარიტად ნეოკოლონიალისტური დამოკიდებულება იმით „გაამყარა“, რომ **თურმე „იგივე შეშფოთება ჰქონიათ სახალხო დამცველს, არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციასა და საქართველოს საერთაშორისო მეგობრებსაც“** (ე.ი. ისევ და ისევ გიგაურებს, ლომჯარიებსა და კუბილიუს-ფოტიგებსო), ანუ მოწმეებად თავისივე კუდები მოიყვანა.

„ჯუნგლის კანონზე“ მოწყობილ დღევანდელ სასტიკ სამყაროში საქართველოს აუცილებლად სჭირდება ფარი, ანუ სტრატეგიული პარტნიორი, რომელთან ურთიერთობაც შეგვიქმნის უსაფრთხო გარემოს ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის. „რუსული ქოლგისგან“ თავის დაღწევის შემდეგ, არჩევანი შევაჩერეთ ამერიკის შეერთებულ შტატებზე. უნდა ვაღიაროთ, რომ არსებულ რეალობაში ეს იყო

საქართველოს შეუძლია, კარგი პარტნიორი იყოს, თუ მეორე მხარე თავისი ხელით არ მოკლავს ამ შანსს

უალტერნატივო გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, **დროთა განმავლობაში, თანდათან მივდიოდით იმ „აღმოჩენამდე“, რომ ახალ გარემოში მოხვედრით ჩვენი მდგომარეობა თვისებრივად არ იცვლებოდა,** ხოლო „დემოკრატიის შუქურას“ ეპოქამ ყველა გულუბრყვილო, იდეალურთან მიახლოებულ მოლოდინს ცივი წყალი გადაასხა.

დიახ, მოულოდნელად აღმოვჩნდით იმ ფაქტის წინაშე, რომ **აშშ-ის შესაბამისმა სამსახურებმა საქართველოს განუსაზღვრეს რეგიონში ამა თუ იმ სტრატეგიული თუ ტაქტიკური დანიშნულებით გამოსაყენებელი ობიექტის, ერთგვარი პოლიტიკური დამატების როლი.** ეს იმას ნიშნავს, რომ **მათ არ აინტერესებდათ და არ აინტერესებთ, საქართველო როგორი სახელმწიფო იქნება, როგორი იქნება ქართველი ხალხის ცხოვრების დონე და პირობები.** მთავარია, ქვეყანას ჰყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც უპრობლემოდ, სიტყვის შეუბრუნებლად შეასრულებს „უფროსი ძმის“ ყველა დავალებას, რაც არ უნდა საზიანო იყოს ის მისი ქვეყნისთვის და ხალხისთვის.

რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ეს წარსულში დაბრუნება, ადამიანების ბედით ეს შეურაცხმყოფელი თამაში კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა.

რეალობისთვის თვალის გასწორება თუ გვინდა, უნდა ვაღიაროთ, რომ **ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში შეიქმნა ჩიხური ვითარება. ჩიხიდან გამოსავალი კრიზისების დაძლევის მარადიული ფორმულით — შექმნილი ვითარების ობიექტური შეფასების, ფაქტებისა და მოვლენებისთვის თავისი სახელების დარქმევის გზით უნდა ვეძებოთ.** სახელების დარქმევა, რასაკვირველია, არ იქნება იოლი ამბავი, რადგან „ის ზევითაა, ჩვენ ქვევით“... **ერთი სიტყვით, მგლისა და კრავის უწყვეტად განმეორებადი თემის მორიგ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე, თანაც „ლაივში“.**

ჩვენს **ლეგიტიმურ კითხვებს** ზემოთ ჩამოთვლილ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო გამოვლინებებთან დაკავშირებით, **„ვაშინგტონის კრემლის“ პრესსპიკერმა ელჩზე თავდასხმა და ანტიამერიკული მოქმედება უწოდა.** კითხვებზე (იმავე იგავის შინაარსს შორს რომ არ გავცდეთ), „როგორ აგიმღვრევთ წყალსაო“, როცა ეს ჩვენს ინტერესებში არანაირად არ შედის, თანაც, კარგად უწყით, წყალს თქვენ მიერ დაფინანსებული და თქვენგან მართვადი სუბიექტები ამღვრევენ მუდმივადო, პასუხად ღრიალი და კბილების ღრჭიალი მივიღეთ.

სამწუხაროა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმთავითვე უარი თქვა საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობის სტანდარტულ, კლასიკურ ფორმაზე და აირჩია ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის უკიდურესად შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახავი, სხვადასხვა (არ ვიცი, რა ნიშნით გამორჩეულ) ქვეყანაში აპრობირებული, „ჩვენი ნაძირალას“ მეთოდი.

აშკარაა, **„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, გამოიყვანოს ქვეყანა სხვისი კარნახით მცხოვრები ქვეყნის, დე ფაქტო კოლონიის მდგომარეობიდან** და სიმართლის თქმის გზას ბოლომდე მიჰყვება. **სამართლიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის გადამწყვეტ ფაზაშია შესული.**

სამოქალაქო საზოგადოების მოვალეობაა, **მხარში დავუდგეთ ხელისუფლებას ამ, ვიმეორებ, სამართლიან, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი შვილების მომავლის განმსაზღვრელ ბრძოლაში.**

* * *

მაშ ასე — სიმართლე, სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა(!)

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოცდაათწლიანი საქმიანობა საქართველოში სამ ძირითად ეტაპს მოიცავს:

1. „ჩვენი ნაძირალების“ მოძიებისა და შერჩევის, მათი დატრენინგება-დაფრთიანებისა და სისტემურ-სტრუქტურული ორგანიზების პერიოდი (1993-2003 წლები);

2. „ჩვენი ნაძირალების“ ხელისუფლებაში მოყვანის, ქვეყნისა და ხალხის სრულ მორჩილებაში მოქცევის, მორალური დაძაბუნების (კოლონიური რეჟიმის აუცილებელი პირობებია) პერიოდი (2003-2012 წლები). ამ ეტაპის „მიღწევებში“ ცალკე უნდა გამოიყოს 2008 წლის სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურაში ჩვენი ქვეყნისთვის იმთავითვე განსაზღვრული „საზარბაზნე ხორცის“ როლის „წარმატებით“ შესრულება, რომლის შედეგადაც, ქართველი ხალხის ხარჯზე, ჩვენი სახელმწიფოს დიდი მატერიალური, მორალური და პოლიტიკური ზიანის ხარჯზე(?!), „კიდევ უფრო დამძიმდა“(?) რუსეთის, როგორც მსოფლიოს მთავარი საფრთხის იმიჯი;

3. ქართველი ხალხის მიერ, არჩევნების გზით, „ჩვენი ნაძირალების“ ხელისუფლებიდან განდევნის შემდეგ, მრავალ სისტემურ დანაშაულსა და ქვეყნის ღალატში უკვე მხილებული და მიუხედავად ამისა, „მთავარი სტრატეგიული პარტნიორის“ მიერ „დიდი მიზნებისთვის“ შერჩეულ-გაწვრთნილი ბოროტების მთესველების დაცვის, გადარჩენისა და ხელისუფლებაში მეორედ და უფრო საფუძვლიანად მობრუნების (არჩევნებით იქნებოდა თუ რევოლუციით) მცდელობების ეტაპი (2012 წლიდან დღემდე).

ბიძინა დვალი,

25.07.2022 წ.

აშკარაა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, გამოიყვანოს ქვეყანა სხვისი კარნახით მცხოვრები ქვეყნის, დე ფაქტო კოლონიის მდგომარეობიდან და სიმართლის თქმის გზას ბოლომდე მიჰყვება. სამართლიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის გადამწყვეტ ფაზაშია შესული. სამოქალაქო საზოგადოების მოვალეობაა, მხარში დავუდგეთ ხელისუფლებას ამ, ვიმეორებ, სამართლიან, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი შვილების მომავლის განმსაზღვრელ ბრძოლაში.

როგორ აგიმღვრევთ წყალსაო!..

2.

ფაქტების ერთობლიობას **იმ პირველ მთავარ დასკვნამდე** მივყავართ, რომ **დღეის მდგომარეობით ნაცოპოზიციისა და ყველა მისი ქვედანაყოფისა და დანამატის არაფორმალური მმართველია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი.** ანუ, ბოლო წლების ანტისახელისუფლებო, ქართველი ხალხის მიერ რვაგზის გამოხატული ნების საწინააღმდეგო მოძრაობის არაფორმალური ლიდერია „ვაშინგტონის კრემლის“ ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, ქალბატონი კელი დეგნანი;

მას ეს უფლებამოსილებები გადაეცა მისი წინამორბედი ელჩის, **იან კელისგან**;

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, მისი და მისი დანამატებისა და ქვედანაყოფების არაფორმალური მმართველები იყვნენ აშშ-ის ელჩები: **ჯონ ბასი, ჯონ ტეფტი, რიჩარდ მაილსი**. მანამდე, „მოქალაქეთა კავშირის“ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა ჯგუფის (ნაცმოძრაობის წინამორბედის) მართვა ებარათ **ელჩებს კენეტ იალოვეცსა და უილიამ კორტნის;**

გამონაკლისია **რიჩარდ ნორლანდი (2012-2015)**, რასაც თავისი ახსნა აქვს. ნაცპროექტის ავტორებისთვის ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის პირველ პერიოდში მთავარ ამოცანას „ნაცმოძრაობის“, როგორც პარტიის გადარჩენა წარმოადგენდა, ამიტომ არჩევანი გაკეთდა რბილი ურთიერთობის გეგმაზე (თუ შეიძლება ასე ითქვას), რომლის მიზანიც დროის მოგება და განწყობების გადაგორება იყო;

„ნაციონალური მოძრაობა“ არის ფორმით პოლიტიკური და არსით კრიმინალური ორგანიზაცია, რომელიც მხილებულია ძვეყნის წინაშე ჩადენილ მრავალ სისტემურ დანაშაულში (მკვლელობა, ძარცვა, ძალადობა, წამება და სხვ.), აგრეთვე, სახელმწიფო ღალატში (რუსეთისთვის ძვეყნის ტერიტორიების 20%-ის მიზანმიმართული გადაცემა, ევროსაბჭოს რეზოლუციის მხარდაჭერა და სხვ.);

ყველა ამ დანაშაულზე პასუხისმგებლობას ინაწილებენ ამ ორგანიზაციის ხელისუფლებაში მომყვანი და მის მართვაზე პასუხისმგებელი ყველა პირი და სტრუქტურა, აგრეთვე, აღნიშნული დანაშაულების „ვერდამნახველი“ და მათი შეფუთვით დაკავებული ყველა ინდივიდუალური თუ კოლექტიური სუბიექტი;

საქართველოს ყველა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ღია და გაცხადებული სტრუქტურული ქვედანაყოფებია, **ფინანსდება ამერიკელი გადამხდელების ფულით;**

საქართველოში ათწლეულების მანძილზე მოქმედი **ამერიკული მძლავრი და ავტორიტეტული ინსტიტუტები (განსაკუთრებით NDI და IRI), პრონაცური ინტერესების გამომხატველ სუბიექტებს წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ,** ამ ანტიდასავლური წარმონაქმნის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც და ოპოზიციაში იძულებითი გადაბარგების შემდგომაც;

საერთაშორისო პოლიტიკური სინდიკატი, კრებსითი სახელით — „დასავლეთი“ — რომლის გამოკვეთილი ლიდერიც ამერიკის შეერთებული შტატებია, წლების განმავლობაში მფარველობას უწევდა და უწევს საქართველოსა და საერთაშორისო სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ პირებს, სააკაშვილსა და მისი პოლიტიკური მაფიის წევრებს, ადეიშვილს, კეზერაშვილსა და სხვებს, რომლებსაც ამ პერიოდის განმავლობაში ექმნებოდათ სასათბურე პირობები საქართველოს ბიუჯეტიდან და კერძო ბიზნესიდან ნაძარცვი მილიარდების ბრუნვისთვის და საქართველოში ანტისახელმწიფო პროცესების მართვისთვის, რომლის მძლავრ მექანიზმადაც გამოიყენებოდა და გამოიყენება ამ ნაძარცვი ფულით დაფინანსებული, სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელი საქმიანობით დაკავებული მედიასაშუალებები;

საერთაშორისო პოლიტიკური სინდიკატი, კრებსითი სახელით — „დასავლეთი“ — რომლის გამოკვეთილი ლიდერიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ღიად ებრძვის არაადამიანური და სრულიად ანტიდასავლური ნაცრეჟიმის დამარცხებისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე შედგომის მთავარ ფაქტორს, მთავარ გმირს, **ბატონ ბიძინა ივანიშვილს** და ამ ბრძოლისთვის იყენებს ყველა აკრძალულ (მათ შორის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების უგულებელმყოფელ) ხერხს და მეთოდს;

დავუბრუნდეთ ისევ ქალბატონი კელი დეგნანის „მოღვაწეობას“:

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს, **დიპლომატიის ცოდნისა და უნარებისგან სრულიად თავისუფალი** მაღალი რანგის პერსონა, ტიპური სამხედრო ოფიცერი, მთელი აქ ყოფნის პერიოდში, სულ **იმის ფიქრში ათენებდა და აღამებდა, რომ როგორმე ხელისუფლებაში დაებრუნებინა „ჩვენი ნაძირალების“ ბოროტი და მავნებელი ძალა.**

წარმოდგენილი ანალიზის **მეორე მთავარი დასკვნა** ის არის, რომ **პოლარიზაცია სწორედ იმათ ინტერესშია, ვინც „ასე დაჟინებით“ ითხოვს დეპოლარიზაციას.** აღნიშნულ დასკვნას ძალიან მარტივი მიზეზი აქვს საფუძვლად — **არეულობის ორგანიზება და რევოლუციური სცენარის განხორციელება მხოლოდ პოლარიზებულ გარემოში არის შესაძლებელი.**

ბრიჯიტ ბრინკი

ერთ მნიშვნელოვან გარემოებას მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება — ამ დღეებში ერთმა ოპოპერსონამ „ოცნების“ ხელისუფლებას ანტიამერიკულ გამოხტომად ჩაუთვალა, უკვე გამოსამგზავრებლად გამზადებული (დეგნანამდე) ელჩობის კანდიდატის მიღებაზე უარი. უარყოფილი კანდიდატი გახლდათ ქალბატონი **ბრიჯიტ ბრინკი.** ცნობილია დაბლოკვის ოფიციალური მიზეზიც — „ნაცმოძრაობის“, ანუ მკვლელი და მწამებელი პარტიის მიმართ „ზედმეტი კეთილგანწყობა“. **ეს ბრიჯიტ ბრინკი დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოადგენს უკრაინაში.** ვფიძრობ, აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი **დასტურია იმისა, რომ უკრაინისა და საძართველოს მიმართ აშშ-ში ერთნაირი „მიდგომებია“ შემუშავებული.** ბრიჯიტ ბრინკი საქართველოს მთავრობას რომ არ დაებლოკა, არ არის გამორიცხული უკრაინაში ელჩი კელი დეგნანი გამხდარიყო.

ქალბატონ დეგნანს, მთელი თავისი „მოღვაწეობის“ პერიოდში, „გვერდს უმშვენებდა“ **ცნობილი ფულის მონის, ქართველთმოძულე კარლ ბილდტის ხელის ბიჭი, კარლ ჰარცელი.** ეს გახლავთ კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ **საქართველოს როლი ერთი დიდი საერთაშორისო გეგმის ფარგლებში იყო განსაზღვრული.**

„შეთქმულების თეორიებზე“ მოქილიკეები, ალბათ, შემთხვევითობას დააბრალებენ იმას, რომ ერთმანეთს „ჰარმონიულად ენაცვლება და ავსებს“: ქართველი რადიკალების, აგრეთვე ამერიკელი გადამხდელების ფულით დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ომის პროპაგანდა; უკრაინელი „პოლიტიკოსების“ მოწოდებები სოხუმსა და ცხინვალში „გასეირნებასთან“ და მსხვერპლის ქართველ ქალებსა და ბავშვებზე გადანაწილებასთან დაკავშირებით; მათივე მხრიდან, ჩვენი ქვეყნისთვის ღია და საჯარო შეურაცხყოფის მოყენებისა და საერთაშირისო დონეზე ავტორიტეტის შელახვის მიზნით, ელჩის გაწვევა და შემდეგ გადაყენება; ბრალდებები რუსულ „შავ ხვრელებში“ მონაწილეობასთან დაკავშირებით; ევროკავშირის კანდიდატობის არავისთვის არაფრის მომცემი (ობიექტურად) თემის შემოგდება; ევროპარლამენტის ყოვლად სამარცხვინო და მისი ავტორებისთვის თავსლაფდამსხმელი ე.წ. რეზოლუცია; ევროკომისიის ასევე სამარცხვინო უარი და უკრაინისა და მოლდოვასგან, ყველა ობიექტური მონაცემით, მათზე წინ მყოფი საქართველოს ყოვლად აუხსნელი გამიჯვნა; შვეიცარიული ბანკის თავისი და ქვეყნის იმიჯის საზიანო „მანევრირება“ ბიძინა ივანიშვილის სამართლიან, სასამართლოს ძალით გამყარებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით; აკერმანის ტრენინგები; აგრეთვე, აშშ-ის ელჩის მხრიდან ცალკეულ მოსამართლეებზე და მთლიანად, სასამართლო სისტემაზე ზეწოლის უპრეცენდენტო მცდელობები; საქართველოს ხელისუფლების მიმართ ყველა კომენტარში ხაზგასმით გამოხატული უპატივცემულობა, ფარული მუქარა და დაუფარავი სიძულვილი;

ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოს, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე და მას შემდეგ, ზემოხსენებული ელჩების ტენდენციური „მოდერატორობა“ დესტრუქციისა და არეულობების ორგანიზების შემადგენელ ნაწილად შეფასებულ ანტისახელისუფლებო მოლაპარაკებებსა და ხელშეკრულებებში, ნაცკრიმინალების ციხიდან დახსნით დაწყებული და არეულობის შემზადებისთვის მოგონილი 43%-იანი ბარიერით დამთავრებული; არჩევნებამდე ორი დღით ადრე სააკაშვილის ჩამოყვანა, „ოცნების“ მიერ ბარიერის ვერდაძლევის იმედითა და რევოლუციური პროცესის აგორების სურვილით;

კარლ ჰარცელი

მანამდე — იან კელისა და კელი დეგნანის მხრიდან ნაცრეჟიმის „მეორედ მოსვლის“ შემზადების პარალელურად, ხელისუფლებისთვის ხელის შეშლის ათასგვარი მცდელობა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მიმართულებით (აღნიშნულთან დაკავშირებით ბოლო ათ წელიწადში გამოქვეყნებულ სამოცდაათზე მეტ წერილში არაერთხელ მისაუბრია).

ხელოვნური ბარიერების შექმნას ყოველთვის ის მარტივი გათვლა ედო საფუძვლად, რომ რაც ხელისუფლებას აძლიერებს, მათი ფავორიტების წარმატების შანსებს ამცირებს.

ბიძინა ივანიშვილის ღია წერილმა საშუალება მომცა, კიდევ უფრო განმეკრცო ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტების ჩამონათვალი და გამემყარებინა შესაბამისი დასკვნები:

საქართველოს ომში ჩართვის მცდელობა, ძირითადად, ამა თუ იმ ფორმით მრავალ ბრუნვაში დატრიალებულ ოთხ მესიჯს ემყარებოდა, ანუ ხელისუფლებაზე ზეწოლა მიმდინარეობდა ოთხი მიმართულებით — **სანქციებთან მიერთება; მოხალისეების გაგზავნა; საჰაერო სივრცის დაკეტვა; სოხუმსა და ცხინვალში „გასეირნება“.**

პროცესში ჩართული იყო - ნაცოპოზიცია სრული შემადგენლობით; ნაცარასამთავრობოები; ნაცტელევიზიები; რევოლუციის ექსპერტი; უკრაინის უმაღლესი ხელისუფლება; რამდენიმე დასავლელი ექსპერტი და ჟურნალისტი; ევროპარლამენტარების დიდი ჯგუფი; ევროპის სახალხო პარტია; მთლიანად ევროპარლამენტი (სამარცხვინო რეზოლუციით); ევროკომისია; შვეიცარიის ბანკი და სავარაუდოდ კიდევ რამდენიმე ქვედა დინება.

წინა აბზაცში ჩამოთვლილ სუბიექტთა მრავალფეროვნებასა და სხვა მრავალ ფაქტობრივ გარემოებას, რომელზეც ამ და წინა რამდენიმე წერილში მქონდა საუბარი, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ **პროცესი ერთი ცენტრიდან იმართება.** ბავშვმაც იცის, რომ **ეს ცენტრი ვაშინგტონში მდებარეობს.** აღნიშნული დასკვნა საკმარისი პირობაა იმ მეორე დასკვნისთვის, რომ ელჩი დეგნანი, როგორც ვაშინგტონის წარმომადგენელი, უშუალოდ იყო ზეწოლის მთავარი განმახორციელებელი პირი.

გარდა ამისა, ქართულ საჯარო სივრცეში დაგროვილი ღია თუ კულუარული ინფორმაცია, განსაკუთრებით სოზარ სუბარისა და მისი მეგობრების მიერ „შიგნიდან“ გამოტანილი ამბები; აგრეთვე „ურჩი“ ხელისუფლების დამხობის გეგმებში ქალბატონი დეგნანის როლი, რასაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ათზე მეტი პუბლიკაცია მივუძღვენი; მისი შეურაცხმყოფელი გამოხტომები, მისი რეაქციები, მისი ხაზგასმული სიმპათიები ომის პროპაგანდისტთა მიმართ და ხაზგასმული მტრული დამოკიდებულება „ოცნების“ ლიდერების მიმართ — ერთმნიშვნელოვნად იძლევა იმ დასკვნის საშუალებას, რომ მისი ჩართულობა იყო განსაკუთრებული და გამორჩეული.

უფრო კონკრეტულად, იხატება ასეთი სურათი: **ქალბატონი დეგნანი უშუალოდ მიეჭრა „გაჯიუტებულ“ ირაკლი ღარიბაშვილს და მოსთხოვა იმ მექანიზმებიდან რამდენიმეს ამუშავებას, რაც მეორე ფრონტის გახსნის საფუძველი გახდებოდა. არ გამოვრიცხავ, რომ ამას აკეთებდა მაგიდაზე მუშტების ბრახუნით. მთავრობის მეთაურიდან მტკიცე უარის მერე, სასწრაფოდ „ესტუმრა“ ბიძინა ივანიშვილს და ახლა მას მოსთხოვა, ეიძულებინა მთავრობა, დაეკმაყოფილებინა „დიდი ამაგის მქონე უფროსი ძმის“ მოთხოვნები. ბატონი ბიძინას განმარტების მერე, რომ პოლიტიკიდან გასულია და ამას ვერ გააკეთებდა, კიდევ უფრო გაჯიქებულმა „დიპლომატმა“ მისგან მუქარით მოითხოვა, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო პოლიტიკაში და მორჩილად შეესრულებინა ყველა ის დავალება, რომელსაც „სტრატეგიული პარტნიორისგან“ მიიღებდა.**

განმეორებითი უარის შემდეგ, როცა მეორე ფრონტის გახსნის ყველა იმედი გადაეწურა, **პატივცემული ელჩი მუქარების აღსრულებაზე გადაერთო,** რაც ერთი მხრივ, ბიძინა ივანიშვილისთვის გადარიცხვების დაბლოკვაში გამოიხატა, ხოლო მეორე მხრივ, ხელისუფლების დამხობის მიზნით რევოლუციური სცენარის ორგანიზებაში.

საბედნიეროდ, ქართველი ხალხი მომზადებული დახვდა ყველა გამოწვევას.

ჩვენი მიზანია, **ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ შეცვალოს საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ქართველი ხალხისთვის ყოვლად მიუღებელი დამოკიდებულება, ამოშალოს თავისი გეგმებიდან ნეოკოლონიალისტური ზრახვები.** ჩვენ არ ვამბობთ, რომ საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები **თანასწორი** სახელმწიფოებია, ვაღიარებთ მის განსაკუთრებულ როლს მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგრამ სხვაა **თანასწორუფლებიანობა**, ეს გახლავთ მეგობრობისა და პარტნიორობის, საერთაშორისო პროცესებში ღირსეული მონაწილეობის მთავარი საფუძველი. დიახ, **თანასწორუფლებიანობის აღიარება და პატივისცემა უნდა იყოს ჩვენი ურთიერთობის ურყევი პირობა.** სწორედ ამას ვითხოვთ და მოვითხოვთ.

საქართველოს შეუძლია კარგი პარტნიორი იყოს, თუ მეორე მხარე თავისი ხელით არ მოკლავს ამ შანსს.

ბიძინა დვალი

29.07.2022 წ.

ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ: ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲮᲔᲓᲕᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐ!

ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ შტატების ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი კიდევ ერთხელ ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომ ცდილობს პოლიტიკოსების ნაწილი ამერიკასა და საქართველოს შორის, ასეთ კრიტიკულ დროს, განხეთქილებისა და დაპირისპირების შექმნას ამგვარი მონდომებით. „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ კომენტარში ელჩი დეგნანი ამბობს, რომ **„როდესაც რევანშისტული რუსეთი თესავს ქაოსს და ნგრევას, საქართველომ და მისმა პარტნიორებმა ერთად იმაზე მეტად უნდა იმუშაონ, ვიდრე როდესმე, რათა უზრუნველყონ მშვიდობა, უსაფრთხოება და დაუპირისპირდნენ რუსეთის აგრესიას“.**

მისი თქმით, **„რთულია იმის გაგება, თუ რატომ არის ზოგიერთი პოლიტიკოსი ასე მონდომებული, დაყოს საქართველო და მისი მოკავშირეები, ასეთ დროს. საქართველოს არ ჰყავს შეერთებულ შტატებზე დიდი მეგობარი. ჩვენ, საქართველოს წარმატების მიმართ ერთგულებას ვინარჩუნებთ და ჩვენი საერთო მიზნის მიღწევაში დასახმარებლად, რაც არის უფრო მშვიდობიანი, აყვავებული და დემოკრატიული საქართველო, რომელიც სრულად იქნება ინტეგრირებული ევროატლანტიკურ ოჯახში, ქართველ ხალხთან მუშაობას გავაგრძელებთ“.**

წელს შეერთებული შტატები და საქართველო დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან 30 წელს აღნიშნავს. ელჩი დეგნანი აცხადებს, რომ ორ ქვეყანას შორის პარტნიორობა საერთო ღირებულებებს და 30 წლის განმავლობაში, ამ ურთიერთობაში ჩადებულ გულმოდგინე შრომას ეფუძნება.

მისვე თქმით, ქართველი ხალხის მხრიდან, მომავლის ხედვა არ შეცვლილა. **„წელს მთელს ქვეყანაში ვიმოგზაურე და ყველგან, სადაც მივდივარ, ხალხს, ადგილობრივ ოფიციალურ პირებს, უფრო მჭიდრო კავშირები სურთ და შეერთებულ შტატებთან უფრო ღრმა თანამშრომლობა აქვთ“,** — აცხადებს ელჩი.

ᲔᲚᲐᲛᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲠᲬᲧᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲬᲕᲘᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲥᲚᲔᲛᲘ ᲐᲨᲝᲑᲘᲜᲔᲡ

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐ: „ᲙᲐᲚᲛᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲜᲐᲯᲐᲮᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲐᲛᲝᲩᲔᲮᲐᲕ“.

ახლა სულს ნუ ამომხდით, რატომ მაინცდამაინც რუსულიო. იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ძალიან მოქნეულად არის ნათქვამი, მეორეც-პირადად მე არ ვიცი, ასეთი რამ ინგლისურ ან ზიმბაბვეს ენაზეც თუა თქმული. აქ მთავარი გახლავთ დაწერილის, ხელნაწერის დიდი დოკუმენტურობის, საბუთიანობის მნიშვნელობა. ოღონდ ის არ არის ნათქვამი, რომ დაწერილის უკუღმართად წაკითხვა, საჭიროებისა და დაკვეთის შემთხვევაში, ორ, ათ ან სულაც ადამიანების მთელ ჯგუფს ანუ რომელიმე პარტიას, უფრო ზუსტად პარტიკუნას სხვაგვარადაც შეუძლია, ვიდრე ქაღალდზე წერია.

დაწერილში თუნდაც მცირე ცვლილების შეტანას შეუძლია მთლიანად, არსებითად შეცვალოს მისი შინაარსი. აი, ცინცხალი ისტორიული ფაქტი:

ახლად გაერთიანებული გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი კარგა ხანს იმტვრევდა თავს, თუ როგორ წამოეგო ანკეზე საფრანგეთი, რათა მასთან ომის დაწყების საბაბი მოეპოვებინა. და მოიპოვა კიდეც: პარიზიდან მოსულ სამთავრობო დეპეშაში ორი სიტყვა ჩაასწორა, რამაც გზავნილს გერმანიისთვის შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა მისცა. „შეურაცხყოფილმა“ გერმანელებმა „შეურაცხმყოფელ“ ფრანგებს 1870-1871 წლების ომი ძლევამოსილად მოუგეს, წაართვეს და მიიერთეს ელზასი და ლოტარინგია და ამით დაასრულეს გერმანიის იმპერიის შექმნა.

ახლა ცოტა „სახალისო“. ცნობილია რუსეთის იმპერატორის ნიკოლაი I-ის შეწყალების დასკვნა ერთი რევოლუციონერის სასიკვდილო განაჩენზე %ოღონდ არ ვიცი, ეს მართლა მონარქის ხელიდან გამოვიდა, თუ წმინდა წყლის ფოლკლორია): „დახვრეტა არ შეიძლება შეწყალება“. დაუკვირდით, თუ პირველი სიტყვის შემდეგ მძიმეს დასვამ, გამოვა — „დახვრეტა, არ შეიძლება შეწყალება“. ხოლო თუ ამ მძიმეს ბოლო სიტყვის წინ დავსვამთ, კაცს სასიკვდილო განაჩენისგან ვიხსნით-“დახვრეტა არ შეიძლება, შეწყალება“...

სწორედ ასეთ მეტამორფოზებს განიცდის ცნობილი ქართველი მეცენატის, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მთელი გაერთიანებული ქართული ოპოზიციის და მისი თავგანწირული ცდის შედეგად ევროპარლამენტისთვისაც ბუად ქცეული ბიძინა ივანიშვილის 27 ივლისის წერილი. იმისდა მიხედვით, თუ ვინ კითხულობს მას, მაგალითად, საკუთარი დიდებითა და ეროვნული მნიშვნელობით დაბრმავებულ-გაყეყეჩებული გიორგი ვაშაძე, შსამით აღუვსებელი საწყაო სალომე სამადაშვილი, სასაცილოდ ბრიყვი გეგელია, ისტერიულ-რიტორიკული ბოდვებით გამორჩეული თაკო ჩარკვიანი თუ ზომიერად ოპოზიციონერი იაგო ხვიჩია...

ვინაიდან დღეს სწორედ ამ წერილ-პროკლამაციაზე გვაქვს საუბარი, მკითხველს შევახსენებ მის მთავარ პოსტულატებს.

ჯერ ის ვთქვათ, რომ ეს ძალზე საინტერესო დოკუმენტი მას შემდეგ დაიწერა, რაც ფართოდ გავრცელდა ხმა, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა აშშ ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, თუმცა ვერავინ მიახლოებითაც ვერ ამბობდა, რაზე ისაუბრეს მაშინ ამ ადამიანებმა, ვარაუდი კი მრავლად გამოითქმებოდა.

და, აი, როცა ვარაუდებმა ფანტასტიკას მიაღწია, უცებ გამოჩნდა ეს წერილი. მასში არსებითია სამი მომენტი.

1. რეგიონში არსებული ურთულესი პოლიტიკური ვითარების ფონზე საქართველოს და მის მმართველ გუნდს თვეების განმავლობაში ძალზე მტკივნეული პროცესების გავლა უწევდა და უწევს. საქართველოსა და მისი ხელისუფლებისთვის ვითარებას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ გარკვეული ძალები საქართველოს ომში ჩათრევას აქტიურად ცდილობდნენ და მათი ეს მიზანი და სურვილი დღესაც აქტუალურია. მმართველმა გუნდმა ომის საფრთხის პირველი ეტაპი უკვე გაიარა — საქართველოს ომში ჩათრევის უშუალო საფრთხე დღეს მაქსიმალურად არის განეიტრალებული. მაგრამ აქვე სათქმელია, რომ უკრაინაში ომის დასრულებამდე გარკვეული რისკები ჯერ კიდევ რჩება და, როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებასაც მაქსიმალური სიფრთხილე მართებს, რათა საქართველომ თავიდან აიცილოს საბედისწერო საფრთხე;

2. მმართველ გუნდს ამ ეტაპზე აქვს შესაძლებლობა თავისი ყურადღება კიდევ ერთხელ გადაიტანოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტზე — იზრუნოს, რომ საქართველოს ურთიერთობა სტრატეგიულ პარტნორებთან, ამერიკასა და ევროკავშირთან არ დაზიანდეს;

3. რაც შეეხება ჩემს პირად პრობლემას შვეიცარიულ ბანკთან, რომელიც დღესაც აქტუალურია, მიმაჩნია, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან მას პირდაპირი კავშირი აქვს, თუმცა, რაკიღა საქართველომ რთულ ვითარებას თავი უკვე გაართვა და ომის უშუალო საფრთხემ გადაიარა, მირჩევნია ჩემი და შვეიცარიული ბანკის ურთიერთობა ჩემს პირად ურთიერთობად დავტოვო და საზოგადოებას ზედმეტად თავს არ მოვახვიო...

წერილის დასასრულს ავტორი დასძენს: რაკი საჯაროდ დაისვა შეკითხვა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ჩემსა და ამერიკის ელჩს შორის შეხვედრის შესახებ, საზოგადოებას განვუმარტავ, რომ ამგვარი შეხვედრა, ელჩის თხოვნით 21 მარტს ნამდვილად შედგა და სამი საათი გაგრძელდა.

მეორე დღეს ელჩმა კელი დეგნანმა დაადასტურა იმ შეხვედრის ნამდვილობა, ოღონდ დაამატა, რომ არავითარი ლაპარაკი საქართველოს ომში ჩაბმის თაობაზე არ ყოფილა.

სულ ეს იყო ბიძინას წერილი. რაც ნათქვამია, ნათქვამია მკაფიოდ, ზუსტად, არაორაზროვნად.

მაგრამ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო ჩვენი ელამი ოპოზიციისგან. ოპოზიციის საპარლამენტო, ძალად მაცხონე „ლიდერმა“ გიორგი ვაშაძემ და მისმა საძმომ ამ წერილში „საქართველოს ბედით ვაჭრობა“ და ჭორიკანობა დაინახა. ასეთივე მოსაზრება გამოთქვა „თვალთხარია“ გახარიამაც. პატივცემულმა გიორგიმ თავისი გრძელი ცხვირი მაინცდამაინც იმ სიბინძურეში ჩაყო, რაშიც არამც და არამც არ უნდა ჩაეყო: აი, ქვეყნის მომავლით ვაჭრობამდეც მივედითო. საოცარია, კაცი, რომელმაც უმაღლეს ხელისუფლად ყოფნისას ის ვერ განჭვრიტა, რომ მისი გადადგომა საკუთრივ მისთვისაც და ქვეყნისთვისაც ერთობ წამგებიანი იყო, ახლა პირდაპირ დელფოს მისნის ნიჭსა და ალღოს იჩენს.

ამ ბაკქანალიამ წონასწორობიდან გამოიყვანა გირჩელი იაგო ხვიჩია და კოლეგებსა და არასამთავრობო სექტორს საკმაოდ მკვახედ შეუძახა, ნუ მისცემთ ლეგიტიმაციას უაზრობას-გამოვიდნენ „პარალელიზმი“ პროცესიდან, გიორგი ვაშაძე და მისი პარტია მარტო დატოვონ საკუთარ თავთან. „ქართულ ოცნებას“ საშუალება არ უნდა მივცეთ, რომ ევროინტეგრაციის პროცესის ჩაშლა ოპოზიციას დააბრალოსო.

უდავოა, რომ ის შეხვედრა მხოლოდ ზემორეხსენებული თემებით არ ამოიწურებოდა. ანუ განხილული საკითხები ისე მწირად არ თქმულა, როგორც წერილშია. მომავალში, ალბათ, უფრო მეტს შევიტყობთ. მოგეხსენებთ, „არა არს რა დაფარული, რომელი არა გაცხადდეს“.

ერთი კი დანამდვილებით ახლავე შეიძლება ითქვას. ივანიშვილისა და დეგნანის შეხვედრა მეგობრული და სალაღობო არ ყოფილა, მწვავე ლაპარაკი იყო, რაც, უთუოდ მისწვდა პოტომაკის ნაპირებს. თუ ასე არ არის, რამ შეაჩქვიფა საქართველოს ხელისუფლების მუდმივი მოქიმინჯე სენატორი ჯიმ რიში, კაცი, რომელმაც თავის დროზე პოლიტპატიმრებად შეარაცხვინა ოქრუაშვილი, რურუა, უგულავა და მიაღწია კიდეც მათ ციხიდან დახსნას. ახლა რამ აქცია თეთრ მტრედად, როცა განაცხადა: უნდა შეწყდეს თავდასხმები ელჩ დეგნანზე, აშშ საელჩოზე და ევროკავშირის ელჩ ჰარცელზე. პოლიტიკურად დატვირთული ასეთი რიტორიკა ქართულ მედიაში ამდენ დროს არ უნდა იკავებდეს, პოლიტიკური უთანხმოება მხოლოდ კეთილსინდისიერი დიალოგით შეიძლება მოგვარდესო.

აწი ბურთი ძ-ნ დეგნანის მოედანზეა. ამჯერად მან უნდა გააცხადოს თავისი ვერსია იმდღევანდელი შეხვედრისა. ჯერჯერობით კი ძალბატონი ელჩი ერთობ ბუნდოვან, მაგრამ გამძვირვალე განცხადებებს აკეთებს, მაგალითად ასეთს: ბუნებრივი მოკავშირეებისგან საძართველოს დაშორება მხოლოდ ვიწრო ინტერესებს ემსახურება და არა ძართველ ხალხს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ ცდილობს პოლიტიკოსების ნაწილი ამერიკასა და საძართველოს შორის ასეთ კრიტიკულ დროს განხეთძილებისა და დაპირისპირების შეძმნას. საძართველოს ხომ ამერიკაზე დიდი მეგობარი არ ჰყავს.

ასე თანდათან გახადეს უდავო ჭეშმარიტება, რომ ამერიკა საქართველოს ყველაზე დიდი მეგობარია, საეჭვოდ.

ერთი სიტყვით, რწყილი დააწვინეს და აქლემი აშობინეს!..

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მამუკა გიორგაძე: არასამთავრობო სექტორის 90 პროცენტი პარაზიტი და უსაქმურია!

ვინ უნდა გააკონტროლოს საძართველოში მოქმედი არასამთავრობოები, რა ფუნქციას ასრულებენ ისინი, რეპუტაციული ზიანი უფრო მოაძვთ საძართველოსთვის, თუ სარგებელი?

ბოლო დროს ჩვენში ძალიან ჩაიხლართა არასამთავრობოთა ქსელი. „ნაცმოძრაობის“ დროინდელმა საეჭვო რეპუტაციის ადამიანებმა ერთი-მეორის მიყოლებით თავი შეაფარეს ამ სექტორს, დაწინაურდნენ „ნაცმოძრაობასთან“ მდგომი ახალგაზრდებიც და ე.წ. სამოქალაქო სექტორად წარმოაჩინეს თავი. სინამდვილეში, საქართველოში ნამდვილი არასამთავრობოები თითზე ჩამოსათვლელია. დღევანდელი გაგებით, არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსს ამოფარება ნიშნავს უწყვეტ ტრიბუნას მასმედიაში და ფულის შოვნის საუკეთესო წყაროს.

„სახალხო პარტიის“ ლიდერი **მამუკა გიორგაძე** აცხადებს, რომ არასამთავრობოების რეპუტაციული როლი, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების მხრიდან არ არის სათანადოდ გაანალიზებული. არც ის არის შეფასებული, თუ როგორ შეიძლება მთელი საზოგადოების სახელით კონკრეტული ჯგუფები ლაპარაკობდნენ, ვინ მისცა მათ ამის უფლება?

მამუკა გიორგაძე ფიქრობს, რომ ამის უფლება არასამთავრობოებს მისცა საქართველოს ხელისუფლებამ, დაწყებული შევარდნაძის დროიდან, როდესაც ხდებოდა ე.წ. სამოქალაქო სექტორის წარმოჩინება დავალების შესაბამისად. თავის დროზე ჟვანიას აქტიური მონაწილეობითა და შევარდნაძის მითითებით, პოლიტიკურ მოედანზე შემოიყვანეს მათგან კონტროლირებული და დაფინანსებული ე.წ. სამოქალაქო სივრცის წარმომადგენლები. დასავლეთისგან მიცემული ფული საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებებმა გამოიყენეს საკუთარი მიზნებისთვის.

„მოგეხსენებათ, „მოქალაქეთა კავშირი“ ვერ ბედავდა საზოგადოებასთან შეკრებას, ჩინოვნიკებთან დახურულ რეჟიმში ატარებდნენ საარჩევნო კამპანიას, მაგრამ მათ ჰქონდათ ერთგვარი ლაბორატორია, მომზადების ცენტრი, სადაც გამოზარდეს პარაზიტთა და უსაქმურთა ფენა, საუბარია 90%-ზე, თორემ, რა თქმა უნდა, არასამთავრობო სექტორში ღირსეული ადამიანებიც არიან. ასევე ხდებოდა სააკაშვილის დროსაც, ასე ხდება დღესაც, როცა პოლიტიკური თემების შესახებ ე.წ. სამოქალაქო აქტივისტები გამოდიან. წარმოიდგინეთ, საკუთარ თავს როგორ უნდა „აფასებდეს“ პარტია, რომელიც მიტინგის წარმმართველად ხელს უწყობს სამოქალაქო აქტივისტებს? ამ პარტიის აქტივისტებს შორისაც მიდის ბრძოლა სამოქალაქო აქტივისტებზე ზემოქმედებისა და გავლენებისთვის. სამოქალაქო სივრცეშიც ერთი ამბავია ატეხილი სწორედ იმიტომ, რომ მოიპოვონ უკანონო შავი ფული, გრანტი კიდევ სხვა თემაა. ამ ყველაფერს ხელისუფლება ძალიან მშვიდად უყურებს“.

მანვე განმარტა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ დაუთმო სამოქალაქო სივრცე „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტებს, მათთან აფილირებულ პოლიტიკურ ჯგუფებს. შეგნებულად დაუთმო ეს სივრცე, რადგან თვითონ არ აიღო ინიციატივა. იგივე ხდება პოლიტიკურ სივრცეშიც, ხომ შეიძლება „ოცნების“ ერთი დეპუტატი მაინც წავიდეს და „ევროპის სახალხო პარტიას“ დაელაპარაკოს? მაგრამ არა, მთლიანად დაუთმეს ეს სივრცე სამუშაოდ „ნაცმოძრაობას“.

მამუკა გიორგაძის აზრით, ხელისუფლებას შეეძლო ამ არასამთავრობოთა გაკონტროლება, ამის კანონი რომ მიეღო. მით უმეტეს, მსოფლიოში ასეთი კანონები მიღებულია. მაგალითად, პოლონეთში სამოქალაქო სივრცეს აფინანსებენ მოქალაქეები თავიანთი გადასახადის მცირე პროცენტით. ამით კონკურენტული გარემო ჩნდება. ახლა კი, როგორც პოლიტიკურ პარტიებს და ტელევიზიებშია მონოპოლიური გარემო, ასეთი მონოპოლისტები მოგვევლინენ სამოქალაქო სივრცეშიც, რაც აბსურდია.

„პოლიტიკურ პარტიებში მონოპოლია ქვეყნისთვის დამანგრეველია, მაგრამ ასჯერ უფრო დამღუპველია, როცა სამოქალაქო სივრცეა მონოპოლიზებული და ხელისუფლება აძლევს ამის საშუალებას. სპორტში იტყვიან ხოლმე, მეორე ნომრად ვთამაშობო, ანუ ინიციატივას უთმობენ „ნაცმოძრაობას“ და ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებს და მერე კონტრშეტევაზე გადადიან. ეს არის ხელისუფლების სპორტული სტილი და ეს ქვეყანას ღუპავს, რადგან შენ ხარ დღეს ხელისუფლება, უნდა ითამაშო პირველ ნომრად. არასამთავრობო ორგანიზაციები ყველა ქვეყანაში იმისთვისაა, რომ პოლიტიკურ პარტიებს რამე რომ გამორჩება, დაუსრულებელი ან მიჩქმალული საქმეები, ამაზე გაამახვილონ ყურადღება, ჩვენთან კი არასამთავრობო სექტორი მთავარი პოლიტიკური ძალაა, რაც თავისთავად ნონსენსია და ამის უფლება ხელისუფლებამ მათ არ უნდა მისცეს“, — მიიჩნევს მამუკა გიორგაძე.

მანანა ნოზაძე

12 პუნქტის შესრულებაში ხელისუფლების შეცდომა ქვეყნის დაღუპვის ტოლფასი იქნება!

სამი ოპოზიციური პარტია ისევ ბოიკოტის რეჟიმშია — „ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ ბრიუსელის რეკომენდაციების შესასრულებლად საერთო პოლიტიკურ მაგიდასთან ჯდომას არ აპირებს. ხელისუფლების ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ევროპული მიზნის მისაღწევად დამოუკიდებლად უნდა იმუშაონ. თუმცა, როგორც ჩანს, მათი რეალური მიზანი სრულიად სხვაა და ამ პარტიებს 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება საერთოდაც არ ადარდებთ. არ არის გამორიცხული, რომ ისინი შემოდგომისთვის ქვეყანაში ისევ მასშტაბური აქციებისთვის ემზადებოდნენ და ფიქრობდნენ, რომ თუკი ეს სამუშაო ჯგუფი ჩავარდება და გეგმის შესრულება არ მოხდება, მაშინ ქვეყანაში საპროტესტო მუხტის აგორებისთვის მეტი საბაბი ექნებათ. არსებობს თუ არა შანსი, რომ მათი ჩანაფიქრი შესრულდეს და რეალურად ვის სურს ამ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება?

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, კონკრეტული პარტიების მხრიდან ბოიკოტი ხელს უშლის საკანონმდებლო დონეზე დაწყებულ ინკლუზიურ პროცესს და წინააღმდეგობაში მოდის ევროპელი პარტნიორების რეკომენდაციებთან. **შალვა პაპუაშვილი** აცხადებს, რომ ოპოზიციას აქვს მცდელობა ალტერნატიული, პარტიული პლატფორმა შექმნას, რაც პარლამენტის დელეგიტიმიზაციას გულისხმობს. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელს მალე უპასუხეს ადრესატებმა. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები კანონდარღვევაში თავად შალვა პაპუაშვილს ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ რიგგარეშე სესიის მოწვევაზე „ქართული ოცნების“ უარი კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლას ნიშნავს.

ოპოზიციას ალტერნატიული სამუშაო ჯგუფების შექმნის გამო აკრიტიკებენ ის ოპოზიციონრები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოში უკვე მოქმედ ჯგუფებში აქტიურად მონაწილეობენ.

* * *

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს, რომ ოპოზიციის ნაწილის სამუშაო ჯგუფისგან გამიჯვნა, რა თქმა უნდა, დეპოლარიზაციის საკითხს და ასევე 12 პუნქტის შესრულებას ხელს შეუშლის. ევროპარლამენტარები ზუსტად იმას ითხოვენ, რომ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ერთად დასხდეს და ამ თემის გარშემო კონკრეტულ შეთანხმებამდე მივიდნენ. საყვარელიძე ოპოზიციის ნაწილის ამ ქცევაში კონკრეტულ მიზანს ხედავს. მისი აზრით, ისინი ფიქრობენ, რომ თუკი ეს გეგმა ჩავარდება, მაშინ შემოდგომაზე ხალხის ქუჩაში გამოყვანის უფრო მეტი შანსი და მოტივი ექნებათ.

„თუ დავაკვირდებით ამ განცალკევების მომხრე ის პარტიები არიან, რომლებიც ადრეც რადიკალური განცხადებებით გამოირჩეოდნენ. ისინი ქუჩაში იდგნენ და, როგორც ჩანს, ისევ ქუჩის იმედი აქვთ. ფიქრობენ, რომ თუკი ოპოზიცია გაიყოფა და ცალ-ცალკე იქნებიან, იმის დიდი შანსია, რომ ევროპარლამენტარებმა თქვან, 12 პუნქტის შესრულება ვერ მოვახერხეთო. აქ უკვე მნიშვნელობა აღარ ექნება, ვინაა დამნაშავე. მთელი პასუხისმგებლობა ისევ ხელისუფლებაზე გადადის. ესენი ყვირილს ატეხენ, რომ ხელისუფლებამ ისევ ევროპას დაგვაშორა და ქუჩაში გამოდითო. ამ პარტიების ნაწილის დისტანცირება ამ სამუშაო ჯგუფისგან შემოდგომის აქციისთვის და გარკვეული არეულობისთვის მზადებას უფრო ჰგავს. კარგი, გავყვეთ ოპოზიციის ამ ნაწილის ლოგიკას, რომ „ოცნებას“ არ ენდობიან, რადგან თუ მას მიზეზი სჭირდება, ამ 12 პუნქტს მაინც ჩააგდებს, კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ შენ დაანახე, რომ ამის მიზეზს არ აძლევ, აჩვენე ქვეყნის შიგნითაც და მის გარეთაც, რომ ეს მიზეზი „ოცნებამ“ იპოვა და შენ არ მიგიცია“, — ამბობს საყვარელიძე.

მისივე თქმით, რადიკალური ოპოზიციის ნაწილის რიტორიკა ძალიან თანხვედრაში მოდის უკრაინის რადას დეპუტატის, **დავით არახამიას** ბრალდებებთან და ჩნდება განცდა, რომ ოპოზიცია რაღაცისთვის ემზადება. საყვარელიძე ვარაუდობს, რომ სწორედ არახამიაა ის ფიგურა, რომელიც მათ გარედან ქვეყანაში არეულობის დასაწყებად ეხმარება. ამიტომაც მას ეჭვი აქვს, რომ ოპოზიციის ეს ნაწილი ემზადება რადიკალური ქმედებებისთვის და არა 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებისთვის. მათ ინტერესში ქვეყანაში დეპოლარიზაცია არ შედის, ამიტომაც ვითარების დაძაბვას შეეცდებიან.

* * *

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ არ უნდა მიაქციოს ყურადღება ოპოზიციის ნაწილს, რომელიც ამ სამუშაო ჯგუფისგან დისტანცირდა. თუ მას ამ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება სურს, მაშინ დასახულ გეგმას საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილთან ერთად უნდა მიჰყვეს. ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია ისევ ერთი და იგივე წრეზე ტრიალებს, მათ ვერ შეიგნეს, რომ ქვეყანა საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებზე ზემოთ უნდა დააყენონ, ამიტომაც ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს და არავის მისცეს იმის თქმის საბაბი, რომ მათ ეს 12-პუნქტიანი გეგმა ჩააგდეს.

„სჯობს, ხელისუფლებამ იმუშაოს იმასთან, ვინც მასთან თანამშრომლობს, რა პორბლემაა. „ოცნება“ მიზეზს ეძებს, რომ ეს 12-პუნქტიანი გეგმა ჩააგდოს? — ოპოზიციამ ამის საბაბი არ უნდა მისცეს. კი ბატონო, თუ ხელისუფლებას უნდა ნებისმიერ მიზეზს იპოვის, მაგრამ ოპოზიციას მოვუწოდებ, ამ პატარა მიზეზსაც ნუ მისცემს. გაგზავნონ ამ სამუშაო ჯგუფში თავისი წარმომადგენლები და თუ უნდათ, საერთოდ, ხმაც კი არ ამოიღონ, უბრალოდ დაესწრონ, რომ ხელისუფლებას რამის თქმის საბაბი არ ჰქონდეს. ოპოზიცია კარგად რომ არ იქცევა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საბოლოო შედეგთან. საბოლოო შედეგი იქნება ის, უნდა თუ არა ხელისუფლებას ამ 12 პუნქტის შესრულება. არ მგონია, ოპოზიციას იმედი ჰქონდეს, რომ შემოდგომაზე საპროტესტო მუხტს კიდევ ააგორებენ, ეს არის ზღაპარი და თუ ამის თავად სჯერათ, კიდევ ერთ მარცხზე წავლენ. „ოცნებას“ მოვუწოდებ, ის ხალხი აიყვანოს, რომლებიც ამ სამუშაო ჯგუფში მუშაობაზე თანხმაა და თამაშს თავი დაანებოს. თავად იყოს მართალი და ოპოზიცია, რომ შეცდომებს უშვებს, კისერს თავად მოიტეხს. ხელისუფლების შეცდომა ქვეყნის დაღუპვის ტოლფასი იქნება“, — ამბობს ზაქარეიშვილი.

რაც შეეხება ისევ შემოდგომისთვის ოპოზიციის ნაწილის აქციებისთვის მზადებას, ანალიტიკოსი გამორიცხავს, რომ ხალხში ეს მუხტი გაჩნდეს. ზაქარეიშვილი ამბობს, რომ მართალია ჩვენს მოსახლეობას „ოცნება“ არ მოსწონს, მაგრამ ოპოზიციაში ხსნას ვერ ხედავს. მათ არა აქვთ ახსნა, ოპოზიციას მხარი რატომ უნდა დაუჭირონ. ეს არის სწორედ ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ყველაზე დიდი შეცდომა, რომ ხალხს ვერ აჯერებენ ამ ხელისუფლებაზე უკეთესები რით არიან.

„შემოდგომაზე არავითარი მრავალათასიანი საპროტესტო ტალღა არ იქნება. შეიძლება ხალხის რაღაცა წყება გამოიყვანონ და მერე ისევ დაიშალონ. ხალხში არავითარი ენერგია არ ჩანს, რომ ამ ოპოზიციას გაჰყვნენ, ასეთ ოპოზიციას, ისევ „ოცნება“ ურჩევნიათ. ოპოზიციაში არსებული დაპირისპირება კი ცალკე ტრაგედიაა, რომ ქვეყნისთვის ასეთ მნიშვნელოვან დროსაც საერთო პოზიციებს ვერ ნახულობენ. მე რომ პოლიტიკური პარტიის ლიდერი ან წევრი ვიყო, „ოცნებასთან“ თანამშრომლობას ავირჩევდი. გამოვა თუ არა რამე, ეს სხვა საკითხია, თუმცა მე რომ არ დამბრალდეს ამ 12 პუნქტის ჩავარდნა, ამ სამუშაო ჯგუფში მათ ადგილას დავჯდებოდი“, — ამბობს ზაქარეიშვილი.

ლიკა ბერიკაშვილი

თავისუფლება მიშას... პოლიტიკის სანაცვლოდ?!

როგორც ვიუწყებოდით, მიხეილ სააკაშვილის უფროსმა ვაჟმა, ედუარდ სააკაშვილმა მედიასთან მამის საძართველოში დაბრუნება დიდ შეცდომად შეაფასა და აღნიშნა, რომ მას საძართველოს მომავალ პოლიტიკურ ლიდერად ველარ ხედავს, ვინაიდან ხალხში მისდამი ასეთი განწყობა აღარ არსებობს. უმცროსი სააკაშვილი ამბობს, რომ ეს სურვილი მამასაც ვერ შეატყო, რადგან ის ძირითადად უკრაინულ არხებს უყურებს და ძართული პოლიტიკის მიმართ ინტერესი აძვს დაკარგული.

ედუარდის ამ განცხადებას თავად პარტიაშიც და მის მომხრეებშიც დაპირისპირება უკვე მოჰყვა. ენმ-ის თავმჯდომარემ **ნიკა მელიამ** წერილი გამოაქვეყნა, სადაც ამბობს, რომ სააკაშვილის გათავისუფლება მხოლოდ ამ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არის შესაძლებელი.

სააკაშვილის შვილის ეს სკანდალური განცხადება კი მისმა ადვოკატმა, ფაქტობრივად, დაადასტურა. სწორედ ამან გააჩინა დამატებით იმის ვარაუდი, რომ სააკაშვილის ვაჟი ამ პოზიციას მამასთან შეთანხმებით ახმოვანებს.

„ქართული პოლიტიკისადმი ინტერესი აბსოლუტურად დაკარგული აქვს. რამდენჯერმე, როცა ქართული პოლიტიკის მომენტები იყო და მცდელობა გვქონდა, ხელი ჩაიქნია და თქვა, რომ ქართული პოლიტიკა ჩემი ინტერესის მიღმა არისო. მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ თუ არ მოხდა მისი სასჯელის გადავადება, არ გაიარა მაღალი კვალიფიკაციის კლინიკებში მკურნალობა, მისი სიცოცხლე დასრულდება. სიცოცხლესა და პოლიტიკას შორის არჩევანი მას გაკეთებული აქვს“, – განაცხადა **შალვა ხაჭაპურიძემ**.

„პირდაპირ გეტყვით, როდესაც მე მებრძვით მიხეილ სააკაშვილს ებრძვით“, – ასე კი „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ მხარდამჭერების იმ ნაწილს მიმართა, რომლებიც მას ღიად აკრიტიკებენ. სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელებულ განცხადებაში ნიკა მელია ამბობს, რომ სააკაშვილს დაუღალავი და რუტინული შრომა დაიხსნის პატიმრობიდან და არა ემოციური შეძახილები.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები უკმაყოფილო მხარდამჭერების დარწმუნებას ცდილობენ და ამბობენ, რომ პარტია ყველა შესაძლო ბერკეტს იყენებს ყოფილი პრეზიდენტის პატიმრობიდან დასახსნელად. კრიტიკა მათი მისამართით პარტიის წევრებისთვის გასაგებია, რადგან, მათი შეფასებით, პარტიას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს და მათ შორის განსხვავებული მოსაზრებების არსებობას ბუნებრივ პროცესად მიიჩნევენ.

ვის გულისხმობდა ნიკა მელია „განზრახ მავნებლებში“ და ვის მიუძღვნა სკანდალური წერილი, უცნობია, ვინაიდან „ნაციონალურ მოძრაობაში“ პარტიის თავმჯდომარის მწვავე კრიტიკაზე ბევრს არ საუბრობენ. მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი აცხადებს, რომ სააკაშვილმა ამ წერილის შინაარსი იცის, თუმცა უფლებადამცველებთან პოზიცია არ გამოუხატავს.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ ის აქცენტები, რომელიც ედუარდ სააკაშვილმა ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ დასვა, საკმაოდ საყურადღებოა. ანალიტიკოსი ამბობს, რომ სააკაშვილის ვაჟი ასეთი ტიპის განცხადებით პირველად გამოვიდა, რადგან ადრე მსგავსი არაფერი უთქვამს. ამიტომაც მას აქვს ვარაუდი, რომ სააკაშვილის ოჯახი და მისი მომხრეების გარკვეული ნაწილი შესაძლოა იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა ხელისუფლებას ისეთი შეთავაზება გაუკეთონ, რომელზეც უარს არ იტყვის.

„რა იქნება ისეთი წინადადება, რომლზეც შესაძლოა, ხელისუფლებამ სააკაშვილის გათავისუფლებაზე ან სასჯელის გადავადებაზე უარი არ თქვას? ხელისუფლება უფრთხის იმას, რომ, თუ სააკაშვილს ციხიდან გამოუშვებს, თუნდაც საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაუშვებს, ფრთებს გაიბერტყავს, ცოტას მოიხედავს, ისევ პოლიტიკას დაუბრუნდება და საქართველოში ისევ დესტრუქციული ქმედებების განხორციელებას დაიწყებს. ამ შემთხვევაში, ედუარდ სააკაშვილის განცხადების უკან რაღაც ჯენტლმენური შეთავაზება დავინახე - თუ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკას ჩამოშორდება, რაც საერთაშორისო გარანტიებითაც ზურგამაგრებული იქნება, მაშინ შესაძლოა, დათანხმდნენ სააკაშვილის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანას და სასჯელის გადავადებას. ამის შემდეგ სალომე ზურაბიშვილი შეიწყალებს მას, რადგან პრეზიდენტს უფრო კარგი წინაპირობები შეექმნება, რომ ეს ნაბიჯი გადადგას. ვფიქრობ, შესაძლოა, ოჯახიდან ამ ვერსიის შემუშავება ხდებოდეს“...

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკა მელიას განცხადებას და მის დამოკიდებულებას სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ანჯაფარიძე ამბობს, რომ ეს პარტიაში დაპირისპირების საგანი თავიდანვე იყო. ამის ნათელ მაგალითად კი ანალიტიკოსს სააკაშვილის ბიძის, **თემურ ალასანიას** საქართველოში ვიზიტი და პარტიის მისამართით გაკეთებული საყვედური მოჰყავს. ანჯაფარიძე ამბობს, რომ ყველა მიხვდა ეს საყვედური ნიკა მელიას რომ ეკუთვნოდა.

„სავსებით ნათელი იყო და ნიკა მელიაც ამას ძალიან რეალისტურად უყურებდა, რომ სააკაშვილის გათავისუფლების თემის წინა პლანზე წამოწევა, ენმ-ისთვის წამგებიანი ნაბიჯი იყო. პარტიას ელექტორატს აკარგვინებდა და საშუალებას არ აძლევდა, რომ მიტინგებზე მონაწილეების მობილიზება მოეხდინა. ეს თემა მოსახლეობაში მიღებული და ატაცებული არ იყო, როგორც ეს ენმ-ის რადიკალურ ფრთას ეგონა. რადიკალურ ფრთას, მე მგონი, დღესაც ისევ იგივე განცდა აქვს, რომ სააკაშვილის თემა მთავარი უნდა იყოს და სხვა ყველაფერი უკანა პლანზე გადავიდეს. როგორც ჩანს, პარტიაში ამ საკითხის მიმართ დაპირისპირება და წინააღმდეგობა კვლავ არსებობს. სწორედ ეს იყო ნიკა მელიას მიმართვის საფუძველი. სხვა შემთხვევაში ასე საჯაროდ პარტიის შიდა დაპირისპირებას გარეთ არ გამოიტანდნენ.

რაც შეეხება სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლას და პარტიასთან გამიჯვნას, რთულია ითქვას, ვინ შეიძლება ლიდერი გახდეს, რომელიც მას ჩაანაცვლებს. არც ნიკა მელიაა ის ფიგურა, ვინც ამას შეძლებს და არც პარტიის სხვა წევრებზე არაფერს ვიტყვი. სხვათა შორის ვერც ენმ-ის ე.წ. ახალი სახეები ვერ დაიკვეხნიან, რომ გამორჩეული ლიდერები არიან. ჩემი გადმოსახედიდან, თუკი „ნაციონალებს“ პოლიტიკურ ველზე გადარჩენა სურთ, მწვავე და მტკივნეული პერიოდი აუცილებლად უნდა გაიარონ. ყველა პარტიას გაუვლია ეს პროცესი და თუკი ენმ-ს უნდა ისევ პოლიტიკაში დარჩეს, უნდა შეეგუოს, რომ ცხოვრება სააკაშვილის გარეშე გააგრძელონ“, – ამბობს ანჯაფარიძე.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** კი მიიჩნევს, რომ არ არის გამორიცხული, მიხეილ სააკაშვილი შვილის სახელით ახმოვანებდეს იმას, რაც თავად სურს. აბაშიძე ამბობს, რომ სააკაშვილი ნებისმიერ ფასად ცდილობს თავი გისოსებისგან დაიცვას და ფაქტია, ამისთვის ყველა ხერხს იყენებს. მისი მთავარი მიზანი ახლა ან უცხოეთში წასვლაა, ან კიდევ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის მხრიდან შეწყალება.

„ყველაზე ლოგიკურად მისმა შვილმა, ედუარდ სააკაშვილმა ისაუბრა და თქვა, რომ მამამისის პოლიტიკაში ყოფნის მიზანს რეალურად ველარ ხედავს. სხვათა შორის სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლის ინიციატივა „გირჩს“ ეკუთვნის და ეს მოსაზრება პირველებმა მათ გაახმოვანეს. სააკაშვილის გარეთ გაშვების ორი გზა არსებობს: უმძიმესი ავადმყოფობა და პრეზიდენტის დისკრეციის გამოყენება, რომ მან შეიწყალოს. ამიტომ ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა და როგორ მოხდება. თუ პრეზიდენტ ზურაბიშვილს დაუდებენ უტყუარ სამედიცინო დასკვნას, რომ ის მძიმე მდგომარეობაშია და მისი უცხოეთში მკურნალობაა საჭირო, შესაძლოა, შეიწყალოს. ესეც მისი პირადი უფლებაა“, – ამბობს აბაშიძე.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობაში“ გაღვივებულ დაპირისპირებას, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების გზებთან დაკავშირებით, აბაშიძე ამბობს, რომ ფაქტია, მელია **კობა ნაყოფიას** პარტიაში დაწინაურების გამო უკმაყოფილოა. არ ჩანს ის, რომ მელია პარტიაში მთავარი ფიგურა იყოს და ახლა მხოლოდ ნომინალურ პერსონას წარმოადგენს.

„დავუშვათ, სააკაშვილმა გათავისუფლების სანაცვლოდ პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა, რა თქმა უნდა, ეს „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ძალიან მძიმე გადაწყვეტილება იქნება. პარტია იერარქიულად და ფინანსურად სააკაშვილზეა დამოკიდებული. ენმ-ს მარტო კობა ნაყოფია არ აფინანსებს. ამიტომ პარტიაში ფინანსების არქონის გამო მას ბევრი დატოვებს. პარტიის პოლიტსაბჭო მოირყევა და დაიშლება. ამიტომ პარტიის წევრები შეეცდებიან, რომ სხვადასხვა პარტია შექმნან, არ არის გამორიცხული, პარტია ნაწილ-ნაწილ დაიშალოს“, – ამბობს აბაშიძე.

ლიკა ბერიკაშვილი

დავით ქართველიშვილი: სააკაშვილმა „მთავარი არხის“ ფეიკი ამხილა!

„მიხეილ სააკაშვილმა „მთავარი არხის“ ფეიკი ამხილა, ტვ „ფორმულას“ ჟურნალისტური ილეთები დაგმო და ირაკლი კობახიძის ოჯახს გამოესარჩლა. არა, თქვენ არ მოგეჩვენათ. მართალია, „ემპათიის“ ფსიქოანალიტიკოსებმა შეიძლება ეს ფაქტორებიც სათავისოდ შემოაბრუნონ: „აი ხომ ხედავთ, რა დონეზე ვერ არის საღ ჭკუაზე! ხომ ხედავთ - რაოდენ დამძიმებულია!“, – წერს ექსპერტი **დავით ქართველიშვილი** და აქვეყნებს მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შალვა ხაჭაპურიძის განცხადებას, სადაც ხაჭაპურიძე მის და სააკაშვილს შორის გამართულ დიალოგის შესახებ საუბრობს, სადაც სააკაშვილი ირაკლი კობახიძის მამის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას რადიკალურად არ ეთანხმება.

ჩვენ კი ვხედავთ ყველაფერს და ყველაფერი გვესმის — მათრახისა და თაფლაკვერის პრინციპი მარტო გამოძიების არა, VIPP-მსჯავრდებულების დონეზეც სიცოცხლისუნარიანი ყოფილა. განსაკუთრებით, როდესაც ძალიან გინდა გისოსებს მიღმა გამოსვლა, როდესაც „ბასტილიის აღების“ მსგავს ქმედებებზე იმედი უკვე დაკარგული გაქვს - მაშინ იწყებს „კაიტიპობას“, მაშინ ამზადებ ნიადაგს შენს დაუძინებელ მტრებთან დიდი ვაჭრობისათვის.

ჯერ საკუთარი შვილი შეგყავს სატელევიზიო სივრცეში: „მამაჩემი ვილას ახსოვსო, ან მას თუ ახსოვდესო ქართული პოლიტიკაო, მთელი დღე უკრაინულ ტელეარხებს უყურებსო და ყვითელჭლურჯი ცრემლებით ტირისო“. გადის 24 საათი და ამ შაპიტოს არენაზე გამოდის ადვოკატი ხაჭაპურიძე, რომელიც იმავე დედააზრს ამძაფრებს: „მიშა ქართული პოლიტიკით არ ინტერესდება, არაფერს ქართულს არ უყურებს, მაგრამ გია კობახიძეზე თავდასხმა — საკუთარ თავზე თავდასხმად აღიქვა, შეწუხდა, განრისხდა და განიცადა“. რაკი ეს სერიალი წარმოებაში ჩაშვებულია, წინ აუცილებლად გველოდება მომდევნო სერიებიც. ერთადერთი, რაც საპილოტო დებიუტის დროს ვერ ამოვიკითხეთ — საკუთარ პოლიტიკურ და კრიმინალურ ცოდვებზე სინანული და საჯარო აღსარების ელემენტები. ხაზს ვუსვამ — მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებანი არავის აინტერესებს! მაგრამ — საზოგადოების მხრიდან „შენდობის ლოცვებზე“ პრეტენზია თუ გაქვს, მარტო შენივე დანაშაულებრივ მედია-სივრცეზე აუგის თქმა, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი წინაპირობაა, რომ შენს მიმართ ჩვენი ახლებური ინტერესი გამოიწვიო...

თამთა მეგრელიშვილი: ის პოლიტიკურ თამაშში ირაკლი კობახიძეს დანებდა!

„თუ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს კარგად დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ უკრაინელი მიშა დიდად განსხვავდება სატუსაღოში მყოფი მიშასაგან. მიხვდა, სადაა, რატომაა და რა ხდება. ამასთან, უკვე აშკარაა მისი გადაწყვეტილება, განერიდოს ქართულ პოლიტიკას. რატომ? იმიტომ რომ ის თავადაც იაზრებს, რომ დღეს ნამდვილად აღარ არის პოლიტიკური ლიდერი და ამ მოსაზრებას მისი შვილი ედუარდ სააკაშვილი და სხვა პოლიტიკოსები და საქმით მასთან დაკავშირებული პირებიც აღიარებენ და ეთანხმებიან.

„მიშა ქართული პოლიტიკით არ ინტერესდება არაფერს უყურებს“, – აცხადებს მისი ადვოკატი, მიხეილ სააკაშვილის დავალებით ის ასევე ეხება ირაკლი კობახიძის მამასთან დაკავშირებულ თემას და მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულებას ამ საკითხთან მიმართებითაც პირდაპირ აჟღერებს – **„ძალიან შეწუხებული იყო მარტო ამ ამბით და იძახდა, ეს წარმოუდგენელია, ჩვენ ერთად ვიყავით პარლამენტში და ის უწესიერესი ადამიანიაო“...**

საზოგადოების დიდმა ნაწილმა იცის, რომ გიორგი კობახიძე ნამდვილად წესიერი კაცია და კარგი პოლიტიკოსიც იყო და ამას მიხეილ სააკაშვილის დამოწმება ნამდვილად არ სჭირდება და მაინც, მაშინ რას ემსახურება მიხეილ სააკაშვილის „ფერიცვალება“?! მხოლოდ პოლიტიკურ მიზანს, მოიგოს ირაკლი კობახიძის გული, რაც მარტივად ნიშნავს იმას, რომ ის დანებდა, პოლიტიკურ თამაშში ირაკლი კობახიძეს!“...

იხ. 8 გვ.

კეთილი და ბოროტი

ყოვლის უფრორე ძლიერი და ავი გონების ადამიანები დღესაქამომდე ხელს უწყობენ კაცობრიობის განვითარებას: ისინი განუწყვეტლივ აალებდნენ მიძინებულ ვნებებს – სუყოველი მოწესრიგებული საზოგადოება აძინებს ვნებებს, – ისინი კი განუწყვეტლივ აღვიძებენ შედარების, წინააღმდეგობის, ახლის ძიების, საფრთხილო იდუმალის გრძნობას; ისინი აიძულებენ ადამიანთ თავიანთი მოსაზრების გამოტანას სხვათა მოსაზრებათა, ნიმუშთა წინააღმდეგ.

* * *

კეთილი ადამიანები სუყოველ ჟამს ისინი არიან, ვინც სუყოველზე ღრმად ფლავენ ძველ აზრთ და ანოყიერებენ იმათით ნაყოფიერ ყანობირს – ისინი სულის მიწათმოქმედნი არიან.

* * *

სხვაგვარად აზროვნება და არა ისე, როგორადაც მიღებულია, – ამას უკავშირდება უფრორე მეტად განვითარებული ინტელექტის მოქმედება, ვიდრე იმ მიდრეკილებათა ძლიერი, ავისკენ მიდრეკილი ადამიანების მოქმედება – წართმევის, განცალკევების, გატრიზავების, ნიშნის მოგების, ცბიერი მიდრეკილებისანი რომ არიან. ერესი ექიმბაშობის მსგავსია და, რა თქმა უნდა, ისევე მცირე ხარისხით, როგორც რომ უკანასკნელი, რაღაც უწყინარი ანდა სულაც თავისთავად პატივისცემის ღირსი.

* * *

როს ვინმე ფიქრობს რისამე წამოწყების მგზნებარე სურვილზე, რაიც მუდმივად უღიტინებს და აღიზიანებს მილიონობით დღეგმოუჭმელი ევროპელის გონებას, ვინც ვერ უძლებს დარდსა და მოწყენილობას, თავიანთ თავსაც კი, ცხადია, რომ იმათ უნდა ახასიათებდეთ რამენაირად ტანჯვის სურვილი, რათა ამ ტანჯვით რაღაც სარწმუნო საფუძველი რამ მოიძიონ საქციელისა და მოქმედებისთვის. საჭიროა გაჭირვება. ეს წარმოქმნის პოლიტიკოსთა ყაყანს, ეს წარმოქმნის სუყოველ ამ ყალბ, შეთითხნილ, გაზვიადებულ „უბედურებას“ ყოველგვარი კლასისას და ამ „უბედურების“ რწმენის ბრმა მზადყოფნას.

* * *

ყოვლის უფრორე უმსგავსი ადამიანი თვლის, რომ კეთილშობილება არ ექვემდებარება იმპროვიზაციას და უნდა პატივს მივაგებდეთ იმაში ხანგრძლივ დროებათა ნაყოფს, მაგრამ უმაღლესი ფორმის უქონლობა და ფაბრიკანტთა ყბადაღებული ვულგარულობა მთელი თავიანთი მსუქანი ხელებითურთ იმ უხამს ადამიანს აზრს უჩენს, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთი ამაღლება მეორეზე მხოლოდ შემთხვევისა და ბედნიერების საქმე იყო. „რას ვიზამთ, – წყვეტს იგი, – ერთხელ ჩვენც განვიცდით შემთხვევას და ბედნიერებას!“

* * *

საკვირველია, რომ შიშის მომგვრელ და თავზარდამცემ ძლევამოსილ ადამიანთა უღელქვეშ, ლაპარაკია ტირანებსა და მხედართმთავრებზე, ვითარება შეიგრძნობა არა იმდენად მტანჯველად, როგორც რომ უცნობ და უსახურ პიროვნებათა უღელქვეშ, როგორნიც არიან სუყოველნი ინდუსტრიალურნი მაგნატნი...

* * *

პარადოქსალური მოვლენები, ისეთი როგორიც გულკეთილი ადამიანის საქციელში მოულოდნელი გულგრილობაა, როგორიც მელანქოლიკის ხუმარსიტყვაა, როგორიც – უწინარესად, სულგრძელობაა, ვითარცა მოულოდნელი უარი შურისგებაზე ანდა შურისგების დაშოშმინებაა, ისეთ ადამიანთ ახასიათებთ, ვისაც ფლანგვის ძლიერი შიანგანი ძალა აქვს, ანუ მოულოდნელ მოყირჭებასა და მოულოდნელ ზიზღს ვინც განიცდის.

* * *

სუყოველთვის მიჭირდა და ახლაც დიდი ძალისხმევა მჭირდება იმის შესაგნებად, რომ უთქმელად მევრად მეტი შინაარსია იმაში, თუ რა ჰქვია საგანს, ვიდრე თვითონ საგანში. რეპუტაცია, სახელი, აბრუ, გარეგნობა, მნიშვნელობა, გაცვეთილი საწყისია და წონაა რომელიმე საგნისა – თავდაპირველად, ხშირადრე რაღაც ნაყალბევი და რაღაც თვითნებური რამ არის, რაიც საგანს სამოსელსავით ფარავს, ის სავსებით უცხოა არათუ მისი არსისთვის, მისი კინოსთვისაც კი. თუმცა, თანდათანობით რწმენისა და თაობიდან თაობამდე შემდგომი მატების შედეგად, ორივენი საწყაოც და წონაც, თითქოსდა ესისხორცებიან საგანს: ამისა გამო თავდაპირველი ილუზია თითქმის ყოველთვის იქცევა არსად და არსივითვე მოქმედებს!

ტყუილი

ვიდრე ჯოგური მოსაზრებები ჩამოყალიბდებოდა, ტყუილი ზნეობრივი იყო.

* * *

სიმართლის ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, იმ აზრამდე მიდის, რომ ყოველთვის იტყუება.

* * *

ვისაც არ ესაჭიროება, რომ იცრუოს, სარგებელს ნახულობს იმაში, რომ არ ცრუობს.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №70, 73, 76, 86, 94, 98

სავსებით შესაძლებელია მაღალზნეობრივი ტყუილის წარმოდგენა, რომლის დროსაც ადამიანი თავის სქესობრივ ლტოლვას აცნობიერებს როგორც რომ ბავშვების ჩასახვის ვალდებულებას.

* * *

ვინც თავის სიმპათიას და ანტიპათიას განმარტავს როგორც თავის ვალდებულებას, ასრულებს „კეთილთა“ დიდ სიფაქიზეს.

* * *

ზედაპირულ ადამიანთ მუდამ ტყუილი უნდა ილაპარაკონ, რადგან მოკლებულნი არიან ყოველგვარ შინაარსს.

* * *

„უკეთუ ვცრუობ, მაშინ უპატიოსნო ადამიანი ვარ, რაიც ყველამ პირში უნდა მითხრას“, ასეთ ფორმულას სუყველას ვურჩევ ფიცის ნაცვლად: ის ბევრად ძლიერია. თვით ღვთისმოსავმა ადამიანმა კი არ უწყის, რარიგ უნდა გაატრიზავოს ეს. ესეგვარ შემთხვევაში ნაკლები შემთხვევა იქნებოდა დარღვევა მცნებისა: „ნუ წარმოთქვამ უფალი ღმერთისა სახელს ტყუილუბრალოდ“.

* * *



„ძალიან თავ-ხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,

– ეკა ოცყოდ ოკრიდრის ნოკეშ

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

მსახიობისგან პატიოსანი ადამიანი კი არ განსხვავდება, არამედ ის ადამიანი, ვინც ჩუმ-ჩუმად ცრუობს (სწორედ ამ ხალხიდან გამოდის მსახიობთა უმრავლესობა).

* * *

მსახიობთ მოლოდინის მოთმინება არ ჰყოფნით, როდის დადგება სამართლიანობა; და მე ხშირადრე განვიხილავ მოუთმენელ ადამიანთ, ამ თვალსაზრისით. მსახიობები ხომ არ არიან ეგენი.

* * *

ცრუ ადამიანს ყოველთვის გარეგნობით კი არ ემჩნევა ცრუპენტელობა, არამედ თავისი შინაგანი მდგენელით: არც არასოდეს არ უნდა, რომ არაბუნებრივი და უმარილო, უფხო გამოჩნდეს, როგორიც ის სინამდვილეშია.

* * *

ნუ აურევთ: მსახიობნი იმისგან იხოცებიან, ქება რომ დააკლეს, ნამდვილი ადამიანები კი – იმისგან, რომ დააკლეს სიყვარული.

* * *

სუყოველი მეოცნებე ჭეშმარიტებას თავის თავს უმალავს, ცრუპენტელა კი – უმალავს მხოლოდ სხვებს.

ძალაუფლება

როს მასას გონება უბნელდება და ბრბო ბობოქრობას იწყებს, იმ ადამიანთ, ვინც სრულად არ არის დარწმუნებული თავის სულის სიჯანსაღეში, არცრა უშლით ხელს, რომ გასავლელ ჭიშკარში დადგნენ და დააკვირდნენ ბრბოს განწყობილებას.

* * *

უკეთუ ადამიანს, როგორიც ის არის, არ ექნებოდა ქონება და არ იზრუნებდა ის იმის მოსახვეჭად, მაშინ ისიც სოციალისტი გახდებოდა...

* * *

...თქვენი საცხოვრისი, სამოსელი, ეკიპაჟები, გამოფენები მაღაზიაში, თქვენი ნუგბარი საჭმელი და სუფრის ჭურჭლეული, თქვენი ხმაურიანი საოპერო და მუსიკალური აღტაცებანი... – აი, იმ სახალხო ავადობის შხამიანი მატარებლები, რა ავადობაც აგრერიგად სწრაფად რომ ვრცელდება მასებში სოციალიზმის გულის ქეცის სახით და აქვს თავისი დასაბამი, თავისი დაწნული ბუდე თქვენსავე თავში!

* * *

ქონებას ოდენ ის ადამიანი უნდა ფლობდეს, ვინც გონებას ფლობს; დანარჩენ შემთხვევებში საკუთრება შაიძლება საზოგადოებრივ საშიშროებად იქცეს.

* * *

მდიდარი კაცი, ვისაც თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება არ ძალუძს, რასაც იმას თავისი შეძლება უქმნის, მუდმივად თავისი სიმდიდრის ერთი ათად ქცევას ესწრაფვის: ესეგვარი სწრაფვა იქნება იმისი წაშველება, იმისი სამხედრო ეშმაკობა მოწყენილობასთან ბრძოლაში.

* * *

უკეთუ პარტია ამჩნევს, რომ ერთ-ერთი თავისი უდავო მხარდამჭერი პირობითი ხდება, იგი ვერ იტანს ამას და ცდილობს, რომ ათასგვარი რამ ხერხით ჩამოაცილოს. და ამგვარად, ადამიანი ხდება მოწინააღმდეგე. ეს კეთდება იმ პატივმოყვარე აზრის შედეგად, რომ პარტიისთვის ადამიანი, რომელიც პარტიაში ხედავს მარტოოდენ შედარებით ღირსებებს და თავის თავს საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის, შეფასებისა და განსჯის უფლებას აძლევს, უცილობლად მტერზე საშიშია.

* * *

...დიდი სიმდიდრე სულიერი არათავისთავადობისა და სიღატაკის პირდაპირი შედეგია.

* * *

პარტიის ნამდვილი ადამიანი არცროდის არა სწავლობს – ის მხოლოდ იგებს და წარმართავს.

* * *

თანამდებობადაპარგულ ადამიანს ისეთი პატივმოყვარეობა ახასიათებს, რაიც პარტიას უდიდეს საფრთხეს უქმნის.

* * *

სუყოველი პარტია ცდილობს იმ ყოველივე თავჩენილის მნიშვნელობის დაკნინებას, პარტიის ჩარჩოებს რომ გასცდა. უკეთუ პარტია ამის ქმნას ვერ ახერხებს, მაშინ ის თავჩენილს მით უფრორე მტრულად ექცევა, უკეთესობას არ აპატიებს.

* * *

იმათგან, ვინც მოვლენათა დინებას ემორჩილება, სულ ცოტანი რჩებიან, ამიტომაც დიდი პოლიტიკოსნი ხშირადრე სავსებით თავქარიანები ხდებიან, თუმცა ადრე შინაარსიანი და მდიდარი ადამიანები იყვნენ.

* * *

უკეთუ რამდენიმე წელიწადი ჯარისკაცად სამსახურის ვალდებულება რამდენიმე თაობის სიგრძეზე არაცნობიერი ჩვეულება და იმის წინაპირობა ხდება, რასაც წინასწარ თითოეული ანგარიშს უწევს და თავისი ცხოვრების გეგმას ადგენს, მაშინ სახელმწიფოს თამამად შეუძლია ოსტატური რამ ილეთის გაბედვა: გამორჩენით დააგულისყუროს სკოლა და ჯარი, ნიჭიერება, ცუდმედიდობა და ძალა, ანუ ჯარში მიიზიდოს – უპირატესობათა გზით – ბევრად ნიჭიერი, განათლებული ადამიანები და ისე ჩაუნერგოს იმათ ჯარისკაცული სული და სიხარულიანი მორჩილება, რომ ყოველთვის მოიძებნებოდნენ ადამიანები, ვინც მოსურნე იქნება სამხედრო სამსახურში ბევრად ხანგრძლივი ვადით ყოფნისა და თავისი ნიჭიერებით კიდევ უფრორე მეტი ბრწყინვალე დიდების მინიჭება სამხედრო სამსახურისთვის. შემდგომად ამისა, საჭიროა მარტოოდენ საბაბ-სუბაბი რამ დიდი ომებისთვის, ოღონდ ამაზე უკვე ზრუნავენ დიპლომატები ბირჟასთან და გაზეთებთან ერთად – სრული უდანაშაულობის დაცვით, რადგან ესეგვარ ხალხს ომიანობის ჟამს სინდისი მუდმივად სუფთა აქვს: ომს უკვე არცრა მომზადება არ უნდა, მომზადება ზედმეტია.

* * *

სუყოველგვარი ბატონობა ისეთსავე ტკბობას გვანიჭებს, როგორც რომ მორჩილება: პირველ შემთხვევაში, ვიდრე ის ჩვეულებად არ ქცეულა, მეორე შემთხვევაში – როს ის უკვე ჩვეულებად იქცა.

ახალ ბატონებს ძველი მსახურნი მრავალ ორმხრივ სიხარულს ანიჭებენ.

* * *

დიდ სახელმწიფოთა მთავრობებს იმისთვის, რომ ხალხი დამოკიდებული ჰყავდეთ, ორი საშუალება აქვთ – შიში და მორჩილება: უხეში ხერხი – ჯარია, უფრორე ფაქიზი – სკოლა.

* * *

ნაკლები უკმაყოფილების შეგუება ბევრად სარგებლიანია, ვიდრე სრული კმაყოფილების დაცვა, რაიც ვაუკაცობის დედაა და, ამასთანავე, ლაღად აზროვნებისა და სიამაყის ბებიაა.

* * *

ცხენზე კარგი ჯდომა აშოშმინებს არაოდენ მოწინააღმდეგის შემართებას, არამედ მაყურებლის გულსაც: ვიღას უნდა დაესხა თავს? იჯექი, ვითარცა მრე, გამარჯვებული.

* * *

სახელმწიფო უკავშირებს თავის ასობით და ათასობით ხელქვეითის სახელ-თანამდებობას და შემოსავლიან ადგილს განათლებისა და სახელმწიფო სკოლის დიპლომის მიღების ვალდებულებას; პატივი საზოგადოებაში, პური არსობისა შენთვის, ოჯახის მოკიდების საშუალება, შეძლებულ ადამიანთა მხრივ მფარველობა, იმ ყველასთან იდეათა თანაზიარობა, ვისაც იგივე განათლება აქვს მიღებული – ეს სუყოველივე ქმნის იმედების იმ ბადეს, რომელშიც ხვდება სუყოველი ადამიანი...

(გაგრძელება იქნება)

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲔᲠᲒᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ 10 ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲬᲔᲚᲘ?..

— ᲩᲕᲔᲜ, 2013 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ მოყოლებული ვცდილობდით მიშასთვის აგვეხსნა, რომ ის ვეღარ იქნებოდა იმ ტიპის ლიდერი, როგორიც იყო — უნდა შეგუებოდა, რომ თუ პოლიტიკაში რჩება ქვეყნის დატოვების შემდეგაც, შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი და არა ერთადერთი. მიშამ ამის გამო შეგვრაცხა მოღალატეებად, ჩვენი თავი ალანძღვინა მის ბრბოს, რუსული პროპაგანდის საუკეთესო ტრადიციებში გვაბრალებდა ყველაფერს, რაც პირზე მოადგებოდა — გაზპრომზე მიყიდვით დაწყებული, ტრადიციების წართმევით დამთავრებული, — ამის შესახებ „ტაბულას“ დამფუძნებელი თამარ ჩერგოლეიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

„ამაში აიყოლია ისინი, ვინც მასში ძალაუფლების და ფულის წყაროს ხედავდა, ყველა საზიზღარი მცოცავი! ჩაშალა ყველა შეთანხმება, რაც მის აბსოლუტურ ძალაუფლებას გამორიცხავდა, მის მიერ კონტროლირებად მედიებში დაბლოკა ყველა, ვინც მის უპირობო ლიდერობას ეჭვქვეშ ვაყენებდით, შედეგად — არაერთი პოლიტიკური ლიდერი გატეხა და მორალურად გაანადგურა!

მერე, როცა ჩათვალა, რომ ის მომენტია, როცა თუ არ ჩამოვიდა — სხვა დაიკავებს მის ადგილს, რძის პროდუქტების კონტეინერით შემოიპარა, ნაცვლად საზღვარზე ღირსეულად შემოსვლისა და თვეების განმავლობაში ისტერიკაში იყო, მე რომ თავი გავწირე, ახლა თქვენ გაწირეთო — მის ბრბოს და კარვის ქალებს მოღალატეები აძახებინა ყველასთვის, ვინც მას გმირად არ ვთვლიდით და აქციაზე არ გავდიოდით. ახლა ეს კაცი ამბობს, რომ კობახიძე და რუსეთი არაფერ შუაშია და ოღონდ ციხიდან გაუშვან, პოლიტიკას აღარ გაეკარება. აი ამ კაცს შესწირა ოპოზიციამ 10 უმნიშვნელოვანესი წელი.

პრობლემა ისაა, რომ პოლიტიკურად აქტიური ადამიანების ნაწილი ვერც კი ხვდება ეს რა სირცხვილია. ვერ ხვდებიან რა თავისმომჭრელად იქცევა. შემთხვევით, თუ შემოტრიალდა — წავლენ და მის ჩრდილში დაიწყებენ ადგილის ძებნას, იტყვიან ნემსი გაუკეთეს ქოცებმა და მაგიტომ ინანიებდაო.

დიდი სირცხვილია. არც ერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ბიძინას ციხეში მოხვდა, ასე სამარცხვინოდ არ მოქცეულა“, — აღნიშნავს ჩერგოლეიშვილი.

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ:

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲐᲖᲠᲘ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲮᲛᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ?

ᲬᲐᲕᲘᲓᲐ თუ არა მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკიდან, როგორც გიული ალასანიამ განაცხადა, ამ თემაზე ექსპრეზიდენტი დედასთან არ საუბრობს.

„ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ მთხოვეს, დამესვა ეს შეკითხვა და რაღაც ასე გაიკეთა — ხელის აქნევა... არ უნდა ჩემთან ამ თემაზე ლაპარაკი. როგორც ჩანს ეს ინფორმაცია რეალურია, რამდენიმე ადამიანს ერთი და იგივე აზრი ერთდროულად ხომ არ გაუჩნდებოდა, ალბათ ეს ასეა“, — განაცხადა გიული ალასანიამ სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე.

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲝᲚᲘ�გᲐᲠᲥᲘ“ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲜᲔᲜ ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲚᲘ�გᲐᲠᲥᲔᲑᲘ?

ᲝᲚᲝ�გᲐᲠᲥᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘᲐ. ᲐᲛ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲫᲠᲝᲜᲓᲔᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲡ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲝᲚᲘ�გᲐᲠᲥᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ? ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝᲓ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ, ᲠᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲝᲚᲘ�გᲐᲠᲥᲔᲑᲘ.

ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირმა კერძო მეწარმეობა პირველად 1980-იან წლებში დაუშვა. იქამდე ყველა ბიზნესი სახელმწიფოს მიერ კონტროლდებოდა. როცა მთავრობამ კერძო ბიზნესის წარმოების ნებართვა გასცა, ასევე განსაზღვრა, ვინ გააკონტროლებდა მათ. მაგალითად, მაშინ ამბიციურმა მოზარდმა, რომან აბრამოვიჩმა, სათამაშოების საწარმოს მართვის ნებართვის მიღება შეძლო.

1991 წელს, როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს, ქვეყნის საბაზრო ეკონომიკად სწრაფად გარდაქმნა სურდა. ბიზნესის პრივატიზებისთის, მთავრობამ მოქალაქეებზე „პრივატიზაციის ჩეკები“ გასცა, რომლითაც ვაჭრობა, ან მათი გაყიდვა შეიძლებოდა. რიგითი რუსების ჩეკები, მოსახლეობის მდიდარმა ნაწილმა იყიდა და მათ ახალ კერძო კომპანიებში აქციების შესაძენად იყენებდნენ. ახალ ბიზნესლიდერებს, იგივე ოლიგარქებს, საბჭოთა სისტემის წარმომადგენლებს, ასევე მათ, ვინც შავ ბაზარზე მუშაობდა, ამბიციები და კარგი კავშირები ჰქონდათ. 1994 წლისთვის, 15 000 სახელმწიფო ბიზნესი უკვე კერძო საკუთრებაში იყო. ოლიგარქებმა უზარმაზარი სიმდიდრე სწრაფად დააგროვეს.

1995 წელს რუსეთის მთავრობას ფინანსური პრობლემები შეექმნა, ამიტომ უმდიდრეს ოლიგარქებს ხელისუფლებამ მილიარდობით დოლარის სესხი სთხოვა. სანაცვლოდ, მთავრობამ ოლიგარქებს დიდი წილები გადასცა ბიზნესებში, რომელიც პრივატიზებული ჯერ კიდევ არ იყო. ინდუსტრიების დიდი ნაწილი მთავრობამ არასათანადოდ შეაფასა, რაც ოლიგარქებს კიდევ უფრო დიდი სიმდიდრის გამომუშავებაში დაეხმარა. მაგალითად, ნავთობკომპანია „სიბნეფტში“ აბრამოვიჩმა 250 მილიონი დოლარი გადაიხადა. „ბი-ბი-სის“ გამოძიების მიხედვით კი, ათი წლის შემდეგ, მან იგივე კომპანია მთავრობას უკან მიჰყიდა და ამაში 13 მილიარდი დოლარი გადაახდევინა.

ᲝᲚᲘ�გᲐᲠᲥᲔᲑᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲚᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ გარიგების ფარგლებში, ოლიგარქებისგან მოელოდნენ, რომ ისინი პოლიტიკურ ელიტას ძალაუფლების შენარჩუნებაში უნდა დახმარებოდნენ. იმაში დასარწმუნებლად, რომ ელცინს კვლავ აირჩევდნენ, ოლიგარქებმა მედიაზე, ბანკებსა და სხვა ინდუსტრიებზე, საკუთარი კონტროლი გამოიყენეს. როცა ელცინი გადადგომისთვის მზად იყო, ოლიგარქები მას ასევე დაეხმარნენ იმაში, რომ პრეზიდენტს საკუთარ მემკვიდრედ, ვლადიმირ პუტინი შეერჩია.

თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ, პუტინმა ოლიგარქებს შორის ძალთა ბალანსი შეცვალა. მან „სუკში“ მუშაობის გამოცდილებით ისარგებლა და კრიტიკოსების წინააღმდეგ საქმეები აღძრა. მათ შორის იყო მაგალითად მიხაილ ხოდორკოვსკი, უმდიდრესი რუსი, რომელიც მოგვიანებით დააპატიმრეს. მათ კი, ვინც აბრამოვიჩის მსგავსად, პუტინის ერთგულება შეინარჩუნა, — შეინარჩუნა საკუთარი სიმდიდრეც.

ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲝᲚᲘ�გᲐᲠᲥᲔᲑᲘ

ᲠᲝᲪᲐ დასავლეთმა უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ, რუსეთს სანქციები დაუწესა, მათი ცხადი სამიზნე, სწორედ ოლიგარქები იყვნენ. დასავლურმა მთავრობებმა, საზღვარგარეთ მათ ქონება ჩამოართვა. აბრამოვიჩმა „ჩელსის“ საფეხბურთო კლუბი, ბრიტანეთის მიერ საქნციების დაწესებამდე გასაყიდად გაიტანა.

სავარაუდოდ, ის იქიდან შემოსავალს ვერ მიიღებს. ჯერჯერობით უცნობია, საბოლოო ჯამში რა გავლენას მოახდენს რუს ოლიგარქებზე პუტინის პოლიტიკის გამო დაწესებული სანქციები.

ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲘᲖᲦᲣᲓᲔᲑᲐ

ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ რუსი ტურისტებისთვის ვიზების გაცემის აკრძალვას განიხილავენ. „ფინეთის მთავრობა მზარდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ მოექცა. მას სთხოვენ, დაკეტოს ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვარი რუსეთთან და შეაჩეროს სანქციების აშკარა ხარვეზი“.

„ბევრი ფინელი არაა ბედნიერი იმით, რომ ქვეყანაში რუსი ტურისტები ჩადიან“.

ფინეთის ოპოზიციურ პარტიებში ამბობენ, რომ **„არალოგიკურია, როდესაც უკრაინის მოქალაქეებს, ქალებს, ბავშვებს ხოცავენ და მეორე მხრივ, რუსეთის მოქალაქეები დასვენების დღეებს ევროკავშირში ატარებენ“.**

კრემლში აცხადებენ, რომ თუ ფინეთი რუსეთის მოქალაქეებზე ტურისტული ვიზების გაცემას აკრძალავს, ამას „ძალიან ნეგატიური რეაგირება“ მოჰყვება.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲢᲔᲨᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ სახალხო-გამათავისუფლებელი არმია სამხედრო წვრთნებს მართავს ტაივანის სრუტეში, ფუძიანის პროვინციაში, პინგტანგის კუნძულის სიახლოვეს.

სამხედრო წვრთნები საცეცხლე გასროლებით მიმდინარეობს, რის გამოც ტერიტორიაზე ხომალდებს შესვლა ეკრძალებათ.

ამავდროულად, ჩინეთი სამხედრო წვრთნებს მართავს სამხრეთ ჩინეთის ზღვის ოთხ რაიონში, გუანგდონგისა და ჰაინანის პროვინციების აკვატორიაში. სამხედრო წვრთნები აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერის ნენსი პელოსის აზიური ტურის ფონზე მიმდინარეობს. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, პელოსი იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, მალაიზიასა და სინგაპურში ჩავა. ჯერჯერობით უცნობია, ეწვევა თუ არა პელოსი ტაივანს. ჩინეთის ლიდერმა სი ძინპინმა 28 ივლისს აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გააფრთხილა პელოსის ტაივანში შესაძლო ვიზიტის გამო.

„ცეცხლს ვინც ეთამაშება, თავს დაიწვავს“, — უთხრა ძინპინმა ბაიდენს. მანამდე, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა განაცხადა, რომ პელოსის ტაივანში შესაძლო ვიზიტს „მკაცრი პასუხები მოჰყვება“.

როგორც იუწყებიან, პენტაგონს უკვე აქვს შემუშავებული გეგმა, რომელიც პელოსის ტაივანზე ვიზიტის შემთხვევაში, ამერიკელი მაღალჩინოსნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲡ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ ᲛᲘᲐᲓᲒᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲛᲓᲔ, ᲢᲐᲠᲐᲜᲢᲝᲡ ᲞᲝᲠᲢᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ.

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲪᲣᲠᲐᲕᲛᲐᲪ ᲒᲔᲛᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ, ᲝᲗᲮᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, 444 ᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ �გᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ. ᲖᲦᲕᲐᲖᲔ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲛ +40ᵒC-Ს ᲛᲘᲐᲦ�წᲘᲐ, ᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲝᲠᲡᲣᲚᲘ ᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲔᲕᲐᲙᲣᲐᲪᲘᲐ. ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲣ�წᲘᲔᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲖᲠᲓᲐᲡᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲓᲐᲛᲬᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ.

იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 22 ივლისამდე, ზღვით, ქვეყანაში 34,000 ადამიანი ჩავიდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 25,500 იყო, 2020 წელს კი 10,900.

ᲕᲐᲜᲝ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ:

ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ

2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ!

2010, 25 ქრისტეშობისთვე, უწმინდესის აღსაყდრების დღე.

თითქოს ადრეული გაზაფხულის კაშკაშა მზეში დგას „სამება“ — ზეცისკენ ატყორცნილი, წალმისფერი ნათალი ქვების „შეკონება“, ქართული ხუროთმოძღვრების ხილული სასწაული.

საგალობელი ჩვილი ბავშვივით ნებივრობს თაღების უბეში.

მიჰყვები უწმინდესის ხმის ანკარა მდინარებას...

დამთავრდა წირვა და პატრიარქის ქადაგება.

როგორც დათქმული გვქონდა, მეუფე ანდრიას შევხვდი — უწმინდესს ჩემი ლექსების ერთტომეული უნდა გადავცე.

მალე, კანკელის მიღმა, ხალხმრავალ საკურთხეველში აღმოვჩნდი.

თვალებით პატრიარქი მოვძებნე.

საზეიმოდ აღარ ემოსა, თალხი, მოკრძალებული ანაფორით, თავსარქმელის გარეშე, ხის სავარძელში იყო ჩაბრძანებული.

კურთხევის მსურველთა გრძელ რიგს შევუერთდით.

დადგა ჩემი ჯერიც.

დავიჩოქე, პატრიარქის მარჯვენას ვეამბორე: „მაკურთხეთ უწმინდესო!“

პატრიარქის ხელი — თბილი, რბილი, მიმტევებელი, თითქოს თვინიერი და დამყოლი...

თითქოს-მეთქი!

ხელი — ქართული ეკლესიის (და არა მარტო ეკლესიის!) საჭეთმპყრობლისა, დიდ ჭირთამთმენი, მრავალ ბრძოლათა და განსაცდელთა გადამტანი.

წიგნში თქვენდამი მოძღვნილი ლექსი აქვსო, ეუბნება მეუფე ანდრია.

„მართლა?!“ — გაეღიმა პატრიარქს და ერთტომეული ჩამომართვა.

მივეხმარე, კრებული წინასწარ ჩანიშნულ გვერდზე გადავუშალე.

კითხულობს.

ტუჩების თრთოლვით მზერა სტრიქონიდან სტრიქონზე გადააქვს.

წიგნი დახურა.

გამიღიმა და, მადლობის ნიშნად, თავი ოდნავ დამიხარა.

ხელი ისევ თავზე დამადო — გაუტეხელი, მოულუნავი, მოუღლელი მარჯვენა ქვეყნის პირველი მეციხოვნისა!

ღმერთო, არ მოგვიშალო ამ ხელის იმედი!

კეთილად ამიხდინე დღევანდელი ცხად-სიზმარი, მეც და ჩემს სამშობლოსაც!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲦᲓᲒᲐ!

ერთხელ კიდევ გამაგონე
საუკუნო აღთქმა:
— ქრისტე აღდგა!
— ქრისტე აღდგა!
— საქართველო აღდგა!

სადაც წავალ, ყველგან შენი
იმედის ხმა დამხვდა:
— ქრისტე აღდგა!
— ქრისტე აღდგა!
საქართველო აღდგა!

ჭეშმარიტად!
ჭეშმარიტად!
იმერსა და ამერს,
შემოადნა ტანზე უღვთოდ
დაფლეთილი ღამე.

ჩამოწმინდა სისხლმა ლიბრი
დაბრმავებულ თვალებს...
გვიან მივხვდით, სალოცავი
ხატი შეგვიცვალეს.

ღმერთო,
ღმერთო,
შენ მოჰკითხე
იმის გვარს და ჯილაგს,
ვინც „გვაჩუქა“ გაზაფხულის
სისხლიანი დილა...

ყელზე დანა მომბჯენია
მე სხვათა და სხვათა.
ჩქარა, კიდევ გამაგონე:
— საქართველო აღდგა!

ჩქარა, თორემ ჩამაჩოქებს
დარბეული გული.
საფლავში ნუ ჩამაყოლებ
უკანასკნელ სურვილს,

გააგონე მტერ-მოყვარეს,
მოსკოვსა და ბაღდადს:
— ქრისტე აღდგა!
(ჭეშმარიტად)!
საქართველო აღდგა!

1990

ᲖᲐᲠᲔᲑᲘ

შეფრთხიალდება
მხარზე მტრედი ნათლით მოსილი,
თითქოს მთელდება
ყველა ჩვენი ტკივილის ბზარი.
ხელთ რომ გიპყრიათ
ეგ საბელი,
ავგაროზივით
ყელზე ჰკიდია
საქართველოს
სიფხიზლის ზარებს.

ჩვენი სამშობლოს
ციხეებზე ცეცხლის დამნთებო,
ბრმა საუკუნე,
შხამიანი,
მოდის, თავნებობს.
არ დაგვავიწყოთ,
ეს ქვეყანა ვისი ხვედრია,
ეშმაკს საბელი არ დაანებოთ.

რადგან აქამდე
ვერ გაღუნეს ეგ ხერხემალი,
უნდა დასრულდეს
ბედისწერის მწარე იგავი —
ეს ცა, ეს მიწა,
ეს უკვდავი სულის მწვერვალი,
წმინდა წიგნია
ჯერ ბოლომდე წაუკითხავი.

თუმცა იმედი
სისხლში ვხარშეთ, ცრემლში მოვზილეთ,
მაინც კორტნიან
კარმორღვეულ ოთხივე მხარეს.
თქვენ რომ გიპყრიათ,
ეგ საბელი,
ავგაროზივით
ყელზე ჰკიდია
დადუმებულ სიფხიზლის ზარებს.

თეთრი მხედარი
თეთრ იორღას შემოაგელვებს,
შემოუძღვება
წამებულთა უკვდავ მხედრიონს.
ჰო, უწმინდესო,
ჩამოჰკარით მძლავრად საბელი,
ზარებს თვლემა რომ არ მოერიოთ!

2011

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲡᲔᲠᲐᲤᲘᲛ ᲡᲐᲠᲝᲕᲔᲚᲘ

1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სასწაულმოქმედ სერაფიმ საროველს.

...10 წლის ასაკში პატარა ძალიან ავად ყოფილა. ავადმყოფობისას სიზმარში ღვთისმშობელი იხილა, რომელმაც მას განკურნება აღუთქვა. სავანეში ცხოვრების პირველი დღეებიდან მან ძილსა და ჭამაში განსაკუთრებული თავშეკავება გადაწყვიტა, რომ მონაზონი გამხდარიყო... მალე კვლავ ძლიერ ავად გახდა. ის კვლავ ყოვლადწმიდა ქალწულმა მარიამმა განკურნა.

თავის უდაბნოში ცხოვრებისას, ღირსი სერაფიმე ერთხელ, ყაჩაღებისგან ძლიერ დაზიანდა. ფიზიკურად ძალზე ძლიერმა სერაფიმემ, რომელსაც თან ცულიც ჰქონდა, მათ წინააღმდეგობა არ გაუწია. ფულის მოთხოვნისა და მაუქარის პასუხად, მან ცული მიწაზე დადო, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და ყაჩაღებს დაემორჩილა. მათ სერაფიმეს სცემეს, ფეხით გადათელეს და მიწაზე ათრიეს. ცემა კი მაშინ შეწყვიტეს, როცა იფიქრეს, რომ მოკვდაო... ერთადერთი საგანძური, რაც ყაჩაღებმა მის სენაკში იპოვეს, ღვთისმშობლის ხატი „ვედრება“ იყო, რომლის წინაშეც იგი მუდამ ლოცულობდა... საგულისხმოა ის, რომ ყაჩაღთა მიერ ცემის შემდეგ, ღირსი სერაფიმე მთელი ცხოვრება წელში მოხრილი დარჩა, აი, ამის მაგალითია ცნობილი ხატმწერის მიერ შესრულებული დიდებული ხატი ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში.

* * *

ᲮᲕᲐᲚ, 2 აგვისტოს ელია წინასწარმეტყველის ხსენების დღეა, ასევე ილია მართლის (ჭავჭავაძე) და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ანგელოზის დღეა!

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲐᲗᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, გორისა და ატენის ეპარქიის მიტროპოლიტ ანდრიასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორთან, ნიკოლოზ აზნაურაშვილთან ერთად, ატენის სიონის ტაძრის მდგომარეობას ადგილზე გაეცნო,** — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

VII საუკუნით დათარიღებული ძველი ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ნიმუშის, ატენის სიონის ტაძრის გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დაფინანსებით ეტაპობრივად ხორციელდება.

მინისტრი ადგილზე გაეცნო ძეგლის პრობლემებს. მეუფე ანდრიასა და ეპარქიის წარმომადგენლებთან შეთანხმებით, გადაწყდა პრობლემების აღმოფხვრის მიზნით ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესაბამისი საბიუჯეტო პროცესის კოორდინაცია.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ 2024 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ᲜᲝᲢᲠ ᲓᲐᲛᲘᲡ, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის, გახსნა ღვთისმსახურებისა და ვიზიტორებისთვის 2024 წელს იგეგმება. აცხადებს საფრანგეთის კულტურის მინისტრი რიმა აბდულ-მალაკი.



„სამუშაოები მიდის სწრაფი ტემპებით, დაგეგმილი და მოსალოდნელი გრაფიკის შესაბამისად. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ 2024 წელი იქნება ის წელი, როდესაც სარესტავრაციო სამუშაოების უმეტესი ნაწილი დასრულდება და ტაძარი ღია იქნება ღვთისმსახურებისა და საზოგადოებისთვის“, — განუცხადა მინისტრმა AFP-ს.

სამუშაოები ნოტრ დამის გამაგრებისა და უსაფრთხოების მიზნით დასრულდა 2021 წლის შემოდგომაზე, იმავე წლის ზამთრიდან კი რესტავრაცია დაიწყო.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს ცეცხლი 2019 წლის 15 აპრილს გაუჩნდა. 400-მდე მეხანძრე მის ლოკალიზებას ცხრა საათის განმავლობაში ცდილობდა. ხანძრის შედეგად, ტაძრის ხის სახურავი მთლიანად დაიწვა, თუმცა მეხანძრეებმა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის სტრუქტურის სრული განადგურებისგან გადარჩენა შეძლეს. ტაძრის სრულ რესტავრაციას დაახლოებით 8 მილიარდი ევრო დასჭირდება.

◎ მაკაბიადა

საქართველოსა და საფრანგეთის სახელით!



გინდ დაივჯერეთ, გინდ არა — ოლიმპიადის შემდეგ ყველაზე პრესტიჟულ კომპლექსურ სპორტულ ფორუმზე — მაკაბიადაზე, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ისრაელში იმართება, საქართველო ერთადერთი კარატისტით იყო წარმოდგენილი და მისი დუბლით ჩვენმა დელეგაციამ 16 ქვეყანას შორის მე-3 ადგილი დაიკავა!

დიახ, სწორედ კოლორიტული ფიგურის ამირან ადეიშვილის სიყრმის შვილიშვილს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის სამწვრთნელო ფაკულტეტის 20 წლის სტუდენტს **ლუკა ხვედელიანს** უნდა ვუმადლოდეთ მორიგ ტრიუმფს. სხვაგვარად ძნელია შეაფასო მის მიერ — 67 კილოში მოპოვებული ოქროს მედლები როგორც პირად, ისე გუნდურ ტურნირში საფრანგეთის სახელით, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მას ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, რომლის გახსნასაც 30 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, თანამემამულე პარტნიორი არ ჰყავდა.

მიზეზი ბანალურია — ოლიმპიურ სახეობას სახელმწიფო არ აფინანსებს — სამინისტროს მხრიდან პრემია — სტიმულირებასა და, უბრალოდ, მილოცვაზე ხომ საუბარიც ზედმეტია — და ბიჭები უკვე ერთი წელიწადია საკუთარი სახსრებით დადიან შეჯიბრებებზე.

რაც შეეხება საქართველოს 8-გზის, მსოფლიოს 3-გზისა (შოტოკანი) და ევროპის 2-გზის (ვადორიუ) ჩემპიონს, მისი გამგზავრება აღქმულ მიწაზე კეთილი ადამიანების — ჯამლეტ ხუხაშვილის, კახა ბასილიასა და ქართველი ებრაელის — გაბი მიხეილის თანადგომით მოხერხდა და ონის რაიონის მაღალმთიან სოფელ ქრისტესის მკვიდრმა მათ ამაგი დიდი წარმატებით გადაუხადა — წრიული სისტემით გამართული ექვსივე ბრძოლა უკრაინელ, ამერიკელ და 4 მასპინძელ მეტოქეებთან გამარჯვებით დაასრულა. სხვათა შორის, ერთ-ერთი ებრაელი კარატისტი WKF ეგიდით ევროპის ვიცე-ჩემპიონია და სწორედ მასთან ჰქონდა საპატიო ტიტულის მომავალ მფლობელს ყველაზე რთული შერკინება — 4:2.

ყველაფერი კი 7 წლისამ დაიწყო, როცა მამის — კარატეს ფედერაციის აღმასკომის წევრის მალხაზ ხვედელიანის რჩევით ვარჯიშს პირველი სენსეის — მიხეილ მახარაძის ხელმძღვანელობით შეუდგა, რომელიც საყვარელ შეგირდს მალხაზ ჭუმბურიძესთან ერთად დღესაც აოსტატებს.

მაკაბიადის მოგებას საგულისხმო აღიარება მოჰყვა — ლუკა „ადიდასის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა მუჰამედ საიედმა პოპულარული ბრენდის სახედ დაასახელა. ვულოცავთ!

ხოლო სეზონი გრძელდება — ოქტომბერში თურქეთი 21-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, შემდეგ კი ევრო — 2023-ის სარეიტინგო საკვალიფიკაციო ტურნირებია.

მორიგი მიღწევები, ლუკა!

◎ უძლეველი

„ჯილდოდ ხალხის სიყვარულიც მეყოფა“

ბავშვობისას ფეხბურთით იყო გატაცებული — სურდა, მამის გზას გაჰყოლოდა. მაგრამ 2009 წელს მისი სასპორტო კარიერა შეიცვალა — ფიტნესდარბაზში მომავალი მწვრთნელი ლადო ხუციშვილი გაიცნო და მკლავჭიდის სამყაროში ამოჰყო თავი.

ქართველ გოლიათ **ლევან საგინაშვილზე** მოგახსენებთ, რომელმაც არაერთ შეჯიბრებაში მიაღწია ხმაურიან წარმატებას. საერთაშორისო სარბიელისკენ გზა 2013 წელს გაიკვალა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე მარცხენა მკლავით მესამე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს კი მსგავსი პირველობის ოქროს მედალი მოიპოვა. 2017 წელს ორივე მკლავით მსოფლიოც მოიგო და ევროპაც. სულ კი მსოფლიოს ჩემპიონატებზე შვიდჯერ, კონტინენტის პირველობებზე კი ექვსჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. 2018 წლიდან პროფესიონალებში გადაინაცვლა და აქაც წარმატებით ასპარეზობს — ზედიზედ ექვსი მეტოქე დაამარცხა მშრალი ანგარიშით — 36:0.

ბოლო ორთაბრძოლა დუბაიში გამართა მარჯვენა მკლავით „მაგიდის მეფის“ (King of the Table) წოდების მოსაპოვებლად. წლის დასაწყისში „ქართველი ჰალკი“ საპაექროდ 47 წლის კანადელმა ლეგენდამ დევონ ლარატმა გამოიწვია. იგი ამ ორთაბრძოლამდე პროფესიონალ მკლავჭიდელთა რეიტინგს მეწინავეობდა, თან ზედიზედ ბოლო 10 პაექრობა ჰქონდა მოგებული. თავისი ქვეყნის სპეცოპერაციების ძალებში მოსამსახურე შვიდჯერ იყო ავღანეთში. სამხედრო სამსახურის მიუხედავად, შეჯიბრებებშიც ახერხებდა მონაწილეობას. მსოფლიოს ჩემპიონატებში 1999 წლიდან იბრძოდა მედლებისთვის. შარშან დუბაიში „მაგიდის მეფის“ წოდებისთვის მარჯვენა მკლავით ჯერ ამერიკელი მაიკლ ტოდი (5:0), მერე კი ჯონ ბრზენკი (4:0) დაჯაბნა.

— დევონ ლარატმა 2021 წელს King of the Table-ის მოგების შემდეგ ჩემთან შეხვედრა მოინდომა, — გვითხრა ლევან საგინაშვილმა. — ჩემი ოცნებაც ეს იყო და სიამოვნებით დავთანხმდი. შეჯიბრებამდე ცდილობდა, ზემოქმედება მოეხდინა ჩემზე, სიტყვიერად შეურაცხმყოფდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან მივხვდი, რომ ეს რეკლამის ნაწილი იყო. ამაში დუბაიში გამართული ორთაბრძოლის შემდეგ ნათლად დავრწმუნდი: როცა ლარატს 6:0 ვძლიე და ტიტული მოვიპოვე, იგი მოვიდა ჩემთან, გამარჯვება მომილოცა და ხმამაღლა მითხრა — მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მკლავჭიდელი ხარო. სპორტის ლეგენდისგან ამგვარი შეფასება, მართალი გითხრათ, მესიამოვნა.

— გულშემატკივრებისგანაც არ გაკლია დაფასება.

— დიახ, ქუჩაში მაჩერებენ და გამარჯვებას მილოცავენ. ეს ვერ გავიგე მხოლოდ, სახელმწიფო რატომ არ გვაქცევს ყურადღებას, თითქოს, არაფერი მომხდარა. უყურადღებობა გულდასაწყვეტია. აუცილებელია, პოლიტიკაში ვერეოდე?! მთავრობის ჯილდოებისთვის არასდროს მიასპარეზია. ხალხის სიყვარულიც მეყოფა. ვეცდები მომავალშიც მათი იმედები გავამართლო. მალე მომავალ მეტოქეთა ვინაობაც გახდება ცნობილი.

— ბარემ მსახიობობაზეც გვითხარი...

— ეს მხოლოდ ჰობია, მაგრამ დღემდე ხუთ ფილმში გადამიღეს. პირველი იყო ბრიტანულ-არაბული ფილმი „სამოთხის ქალბატონი“. 2023 წლის დასაწყისში გამოვა „ნეტფლიქსის“ ფილმი, მგონი, „დახსნა 2“ ჰქვია. ქართველ მაყურებელს სიურპრიზი ელის... ფილმებში მონაწილეობაზე არც მომავალში ვიტყვი უარს, თუ მიმიწვევენ, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემთვის უმთავრესი მაინც მკლავჭიდია.

◎ ტატამზე

კიმონოთი გვასახელეს

უკვე გაუწყეთ, რომ სლოვაკურ ბანსკა-ბისტრიცაში მიმდინარე ევროპის მეთექვსმეტე ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ ძიუდოისტთა მიერ მოხვეჭილი სამი მედლით გახსნა (ოქრო — დავით ლომიტაშვილი, ბრინჯაო — დავით ქარელი და თორნიკე მოსიაშვილი).

ტრადიცია შემდეგ დღეებშიც გაგრძელდა — „ჯვაროსნებმა“ თანატოლებთან ბრძოლებში კიდევ ორჯერ ააბიჯეს საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე. პრესტიჟული კომპლექსური ღონისძიების პრიზიორები არჩილ მამულაშვილი (90) და ნინო გულბანი (70) გახდნენ, რომლებმაც რეპეშაჟის ფინალში, შესაბამისად, ისრაელის წარმომადგენელ ნბარ გაბაის და რუმინელ ჰანა ბალოგს სძლიეს.

ფორუმის ფინიშზე ღირსეული წერტილი დასვეს გიორგი ტაბატაძემ (+100) და გიორგი ბადუაშვილმა (100). პირველმა ესტონელ, გერმანელ, პოლონელ და თურქ მეტოქეთა ძლევით მეორე ოქრო მოგვიტანა, ხოლო მეორემ მეხუთე ბრინჯაო შეგვძინა. საბრლოოდ ჩვენმა ნაკრებმა 32 ქვეყანას შორის მე-3 ადგილი დაიკავა, ვაჟთა შორის კი სულაც საუკეთესო იყო.

ტურნირი გუნდური ბრძოლებით დაიხურა (4:3 მოლდოვასთან, 4:0 იტალიასთან, 2:4 უკრაინასთან, 4:3 გერმანიასთან), სადაც მე-8 მედალი, მათ შორის მე-6 ბრინჯაო დავიმსახურეთ.

◎ ევრობასკეტი

ბილეთებიც, კალენდარიც...

სპორტული სეზონის უმნიშვნელოვანესი მოვლენის — ევრობასკეტის „ა“ ჯგუფის თამაშების ბილეთების გაყიდვა „ტიკეტ ჯი“-ზე უკვე დაიწყო. როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული ექვსეულის შეხვედრებს თბილისის ახალი მულტიფუნქციური დარბაზი 1-დან 7 სექტემბრის ჩათვლით უმასპინძლებს.

გულშემატკივრებს ვაუწყებთ, რომ მათ სამი კატეგორიის ბილეთების შეძენა შეეძლებათ. კერძოდ, პირველი ორი მატჩის ბილეთები საშუალებას მისცემს მფლობელს დაესწროს დღის პირველ და მეორე თამაშებს, ხოლო ბოლო შეხვედრის ბილეთი, შესაბამისად, საშუალებას მისცემს მფლობელს დაესწროს მხოლოდ დღის ბოლო, ანუ საქართველოს ნაკრების მატჩს.

გარდა ამისა, „ჯვაროსანთა“ ყველა თამაშის ბილეთი — „უგულშემატკივრე საქართველოს“ — საშუალებას მისცემს მფლობელს დაესწროს ილიას ზუროსის გუნდის ყველა — ხუთივე შეხვედრას. მასპინძელთა მატჩების აბონემენტების შეძენა შესაძლებელი იქნება 20 აგვისტომდე, ბილეთის ფასი კი 20-დან 160 ლარამდე მერყეობს.

რაც შეეხება „თბილისი არენაზე“ გასამართავ თამაშებს, მისი კალენდარი ასეთი გახლავთ.

1 სექტემბერი. ესპანეთი — ბულგარეთი (15.30), თურქეთი — ჩერნოგორია (18.15), საქართველო — ბელგია (21.00).

3 სექტემბერი. ჩერნოგორია — ბელგია (15. 30), ბულგარეთი — თურქეთი (18.15), საქართველო — ესპანეთი (21.00).

4 სექტემბერი. ბულგარეთი — ჩერნოგორია (15.30), ესპანეთი — ბელგია (18.15), საქართველო — თურქეთი (21.00).

6 სექტემბერი. ბელგია — თურქეთი (15.30), ჩერნოგორია — ესპანეთი (18.15), საქართველო — ბულგარეთი (21.00).

7 სექტემბერი. თურქეთი — ესპანეთი (15.30), ბულგარეთი — ბელგია (18.15), საქართველო — ჩერნოგორია (21.00).

რატომ ირჩევენ ტურისტები გუდაურს და რამდენად უსაფრთხოა პარაპლანით ფრენა?!

29 ივლისს გუდაურში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, როცა ჩამოცვენილი პარაპლანისტების გადასარჩენად მისული ვერტმფრენი ჩამოვარდა, ამ სპორტის რეგულირებაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაიწყეს საუბარი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა თქვა, რომ მუშაობა დაიწყება პარაპლანით ფრენის რეგულაციების გასამკაცრებლად, მანამდე კი ფრენა დროებით შეჩერდება. საქართველოში არის თუ არა პარაპლანით ფრენა უსაფრთხო, რატომ იზიდავს ტურისტებს გუდაურს მთები და რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ – „რადიო თავისუფლებას“ პარაპლანისტი **ლაშა ჯაფავა** ესაუბრა.

– რამდენად უსაფრთხო ადგილია გუდაურის რაიონი პარაპლანით საფრენად?

– რისკის ფაქტორები არის, კლდიანი ადგილია. არაერთხელ გვიფრენია და შევსულვართ მაგ ადგილზე. ყველამ ვიცით და ყოველთვის ერთმანეთს ვეუბნებოდით, რომ უხეში თერმული ნაკადებია. მაგრამ თავისი პლუსები აქვს – იმ ადგილზე ადიხარ (სითბური ნაკადების გამო) მაღლა და ეს გიბიძგებს ადამიანს (იქ ფრენას), გიზიდავს, რომ სიმაღლე აკრიფო. ერთმანეთს ვურჩევდით, რომ იქ ფრენა არ შეიძლებოდა, მაგრამ შევდიოდით – სხვაგან თუ დაბლა მიდიხარ, იქ მაღლა იწევი.

– გუშინდელი შემთხვევა რატომ მოხდა?

– მე არ ვყოფილვარ იქ და უფლება არ მაქვს შევაფასო მით უფრო, როცა ამხელა უბედური შემთხვევა მოხდა. მაგრამ ჩემი გამოცდილებით შემიძლია გითხრათ, რომ იქ არის უხეში სითბური ნაკადები.

– რას შვება ეს თერმული ნაკადები, რაზეც თქვენ საუბრობთ?

– მაღლა გწევს – უხეში ქარია, რომელიც ღრუბელს ქმნის – ბუშტი სკდება და ცხელი ნაკადი ზემოთ გწევს. ეს არის ამ სპორტის ხიბლი, რაც უფრო მაღლა ახვალ მით უფრო დაცულად და უსაფრთხოდ ხარ, გაქვს სხვა შეგრძნება, ემოცია. რაც უფრო მაღლა ახვალ, მით უფრო მაგარია. თერმული ნაკადი იგივეა, რაც ჯომარდობის დროს წყალი, როგორ ტრიალებს და ბობოქრობს. საზვავე ზონებში, როცა ვსრიალებთ, ვიცით, რომ რაღაც შეიძლება მოწყდეს.

– ანუ ექსტრემალებს იზიდავს გუდაური?

– გუდაურს მართლაც დიდი პოტენციალი აქვს სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ პარაპლანით საფრენად ეს არის მექა, უნიკალური ადგილია – ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო, თუმცა სახელმწიფომ ზურგი გვაქცია. საქართველოსთვის ეს სავიზიტო ბარათია. თხილამურით სრიალი მხოლოდ ზამთარში შეიძლება და პარაპლანით ფრენა ზამთარ-ზაფხულ. ტურისტებისთვის კარგია ხინკალი, სტუმართმოყვარეობა, მაგრამ აქტივობა უნდა. სრიალისგან განსხვავებით პარაპლანით ფრენას უნარ-ჩვევებიც არ უნდა – 5 წლის ბავშვი და 85 წლის ქალი გვიფრენია. უსაფრთხოა, მაგრამ ხელშეწყობა გვინდა.

– რას ითხოვთ სახელმწიფოსგან?

– სახელმწიფოსგან რომ ყოფილიყო წესები დადგენილი, ეს არ მოხდებოდა. აუცილებელია ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების მოწყობა, წინა ინციდენტების შესწავლა – რის გამო და რატომ მოხდა. უნდა მოხდეს სტანდარტის დადგენა – რომ შენ, როცა სხვას აფრენ ეს წესები უნდა დაიცვა, მაგრამ როცა მარტო დაფრინავ, ეს სხვა საკითხია.

როგორც სამშენებლო კომპანიებს მოეთხოვებათ წესების დაცვა, პანტა-პუნტით რომ ცვიოდა ხალხი, ხომ შეიქმნა პრეცედენტი. თოვლზე სრიალის დროს არსებობს ზვავსაშიში ზონები – ვიღაცამ ხომ უნდა დასვას ნიშანი, რომ არ შეიძლება იქ სრიალი – ელემენტარული რეგულაციებია საჭირო. მსგავსია ესეც – შრომითი უსაფრთხოების სტანდარტებია დასაცავი. ყველა უბედური შემთხვევის თავიდან არიდება შეიძლებოდა. ახლა უნდათ ხელი შეგვახოცონ – პროფესიონალიზმის გამო ეს შემთხვევა არ მომხდარა. ჩვენ ამ შემთხვევას თავიდან ავირიდებდით, რომ ყოფილიყო ნორმები დადგენილი.

არ არის ეს საშიში აქტივობა, ერთ-ერთი სანახაობრივი აქტივობაა. თავისუფლად შეგვიძლია შევადაროთ თხილამურებით სრიალს, ველოსიპედით სეირნობას, მთაზე ასვლას. უბედური შემთხვევების მხრივ, ველოსიპედით სიარულის დროს უფრო ბევრი ინციდენტი ხდება, ვიდრე პარაპლანით ფრენის დროს. მისი აგებულება იმდენად უსაფრთხოა, რომ მანდ პილოტაჟი არის 20 პროცენტია – განსაკუთრებით ორკაციანი.

გელა ბოჩიკაშვილი,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გუდაურში დატრიალებული ტრაგედიის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილთა ოჯახებს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს!

სანთელი

სვეტლანა, შალვა მგალობლიშვილები ოჯახით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, უღალატო კაცის

ავთანდილ პატარაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სოხუმმა ქრისტინე თაკალანძეს 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

სოხუმმა საქართველოს 24 წლის მოქალაქე ქრისტინე თაკალანძეს „ქართული სპეცსამსახურებისთვის ჯაშუშობის“ ბრალდებით 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. თაკალანძე 26 ივლისს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში „ქართული სპეცსამსახურებისთვის ინფორმაციის შეგროვების“ ბრალდებით დააკავეს.

როგორც დღევანდელ სასამართლო პროცესზე აღინიშნა, თაკალანძის მობილურ ტელეფონში რუსული ბლოკ-საგუშაგოს ფოტო იპოვეს, რომელიც მან, ბრალდების მტკიცებით, ქართულ სპეცსამსახურებს გადაუგზავნა.

თავად დაკავებული ბრალდებას უარყოფს.

საქმეში მოწმეებად რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის წარმომადგენლები ფიგურირებენ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, „უკანონო დაკავების ფაქტთან დაკავშირებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დაუყოვნებლივ გააქტიურდა „ცხელი ხაზი“ და განხორციელდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეების ინფორმირება“.

„საქართველოს მოქალაქის უკანონო პატიმრობიდან გასათავისუფლებლად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ყველა არსებული მექანიზმის გამოყენებით. საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებული უკანონო დაკავებები ართულებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას და უკიდურესად აზიანებს უსაფრთხოების გარემოს“, – აცხადებენ სუს-ში.

განცხადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

1.	მანქანათმშენებლობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.
2.	მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.
3.	მანქანათმშენებლობის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული.
4.	მანქანათმშენებლობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული.
5.	მობილური მანქანების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – ერთი საშტატო ერთეული.

კონკურსის პირობები:

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება ახალი პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა; სამუშაოთა დაგეგმვა და მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელობა.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა)	განცხადება;
ბ)	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ)	ავტობიოგრაფია (CV);
დ)	დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე)	გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ვ)	ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
ზ)	სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
თ)	სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
ი)	პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
კ)	შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
	საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10.
	საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 31 აგვისტო.
	დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017

ᲐᲜᲢᲝᲜ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მხატვარ ანტონ გოგიაშვილის ჩანახატების კოლექცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ვებგვერდზე გახდა ხელმისაწვდომი. ანტონ გოგიაშვილს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახველი ათეულობით ჩანახატი **აქვს შექმნილი. მასვე ეკუთვნის ვაჟა- ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ (1896), ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ (1901) და რაფიელ ერისთავის ლექსების დასურათება.**

ანტონ გოგიაშვილი 1899-1906 წლებში თანამშრომლობდა გაზეთებთან: „კვალი“, „ცნობის ფურცელი, სურათებიანი დამატება“ და „შრომა. სურათებიანი დამატება“.

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲡ

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲛᲐ ფრანცისკემ მომავალში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გადადგომის შესაძლებლობა არ გამორიცხა და განაცხადა, რომ მისთვის „ეს კარი ღიაა“.

რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის განცხადებით, პაპის გადადგომაში არაფერი უცნაური არ არის. **„ეს არის სრულიად ნორმალური რამ, ეს არ არის კატასტროფა, შეგიძლიათ შეცვალოთ პაპი“,** — უთხრა მან ჟურნალისტებს. მისივე თქმით, ამჟამად არ ფიქრობს გადადგომის შესახებ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალში ამისთვის მზადებას არ დაიწყებს. 85 წლის რომის პაპი კანადაში ვიზიტის განმავლობაში, მუხლის ტრამვის გამო, პრაქტიკულად ვერ ახერხებდა სიარულს და დროის უმეტეს ნაწილს ეტლში ატარებდა.

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ 1.1 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ



ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ გამართულ აუქციონზე, ნაცისტური გერმანიის ლიდერის ადოლფ ჰიტლერის საათი 1.1 მილიონ დოლარად გაიყიდა. Huber-ის საათი, რომელზეც ამოტვიფრულია ნაცისტური სვასტიკა, ნაცისტური ემბელმა არწივის გამოსახულებით და ინიციალები AH, ანონიმურმა მყიდველმა შეიძინა.

მანამდე, ებრაელმა ლიდერებმა დაგმეს ჰიტლერის საათის აუქციონზე გამოტანის ფაქტი და ღია წერილით მოუწოდეს აუქციონის სახლს, ამოეღო საათი გასაყიდი ნივთების ჩამონათვალიდან. 34-მა ებრაელმა ლიდერმა აუქციონზე ჰიტლერის საათის გასაყიდად გამოტანას „ამაზრზენი“ მოვლენა უწოდა.

აუქციონის სახლმა არ გაითვალისწინა მოწოდება და განაცხადა, რომ მათი მიზანია ისტორიის შენარჩუნება. **„თუ ისტორიას გაანადგურებ, არ იარსებებს მტკიცებულება იმისა, რაც მოხდა. კარგი იქნება თუ ცუდი ისტორია, ის უნდა შემოვინახოთ“,** — თქვა აუქციონის სახლის უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა. საათის აღწერილობაში ნათქვამია, რომ ის ნაცისტების ლიდერს დაბადების დღის საჩუქრად გადაეცა 1933 წელს, სწორედ იმ წელს, როდესაც ჰიტლერი გერმანიის კანცლერად დასახელდა. ამასთან, აღნიშნულია, რომ საათი ხელთ იგდეს, როგორც „ომის ნადავლი“, ფრანგმა ჯარისკაცებმა, როდესაც ისინი შეიჭრნენ ჰიტლერის ბერგჰოფის თავშესაფარში, ბავარიის მთებში. წლების განმავლობაში მან არაერთი მფლობელი გამოიცვალა.

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ 4 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ილინოისის შტატში შეძენილმა Mega Millions-ის ბილეთმა 4.34 მილიარდი დოლარი მოიგო. შანსი 300 მილიონიდან ერთი იყო.

გამარჯვებული კომბინაცია იყო — 13, 36, 45, 57 და 67 (ბონუსი 14). გამარჯვებული ჯერ არ გამოჩენილა. ამ დრომდე, Mega Millions-ში გათამაშებული ყველაზე მაღალი თანხა 1,537 მილიარდი დოლარი იყო (2018 წელი).

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲘᲜᲔᲕᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ მეზობელი სომხეთი, არც მეტი, არც ნაკლები გრანდიოზული იესო ქრისტეს ქანდაკების მშენებლობას გეგმავს. ჰატისის მთაზე 33-მეტრიანი მონუმენტის აღმართვას ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, გაგიკ ცარუკიანი აფინანსებს. ცარუკიანი წარმოშობით ამ პროვინციიდანაა. იგი პარტია „აყვავებული სომხეთის“ ყოფილი დეპუტატია.

ჰატისის მთა, მწვერვალის ჩათვლით, 2500 მეტრი სიმაღლისაა და სომხეთის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ბუნების ძეგლად ითვლება. პროექტის მიხედვით მონუმენტი 33-მეტრიანი იქნება, თუმცა ამ მონაცემებში არ შედის პედესტალი, რომელიც ქანდაკებაზე ორჯერ ან სამჯერ მაღალია. შედარებისთვის, ქრისტეს ქანდაკება, რომელიც რიო-დე-ჟანეიროში მდებარეობს 30 მეტრის სიმაღლისაა და 8-მეტრიან კვარცხლბეკზე დგას. ყოფილი დეპუტატის თქმით, ქანდაკება ამ ადგილს ტურისტულად გააქტიურებს და ირგვლივ სასტუმროებისა და რესტორნების მშენებლობაც განხორციელდება. მთავარია, შემდეგ ჰატისის მთის ქრისტე, კორკოვადოს მთაზე აღმართულ ქანდაკებაზე ადრინდელი არ აღმოჩნდეს...

ᲓᲔᲛᲜᲐ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲠᲗᲝ

UNITED24 უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ შექმნილი პლატფორმაა, რომელიც საქველმოქმედო შემოწირულობებს აგროვებს. შემოსული თანხები შემდეგი მიმართულებით ნაწილდება: თავდაცვა და განაღმვა, სამედიცინო დახმარება და აღადგინეთ უკრაინა. ამ დროისთვის მსოფლიოს მასშტაბით ფონდში 161 265 174 $ ჩარიცხული.

საამაყოა, რომ მსოფლიო დონის დიზაინერი, Balenciaga-ს კრეატიული დირექტორი დემნა გვასალია UNITED24-ის ელჩად აირჩიეს. მან სპეციალური მაისური შექმნა, რომლის გაყიდვებიდან მიღებული თანხა მთლიანად ჩაირიცხება ორგანიზაციაში. ამის შესახებ ინფორმაცია უკრაინის პრეზიდენტმა საკუთარ სოციალურ გვერდ, Instagram-ზე გაავრცელა და ქართველ დიზაინერს პირადად გადაუხადა მადლობა მხარდაჭერისთვის.

ᲡᲐᲝᲪᲜᲔᲑᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ, TESLA-Ს ᲨᲔᲥᲔᲜᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ სტატისტიკის ბიუროს თანახმად, აშშ-ში ინფლაცია 9,1 პროცენტით გაიზარდა და თითქმის 41 წლის მაქსიმუმს მიაღწია. ფასების ზრდა შეეხო უამრავ სექტორს, მათ შორის ელექტრო-მანქანების წარმოებასაც, რომლის ფასი 20-30 პროცენტით გაიზარდა.

თუ ინფლაცია დარეგულირდება, ტესლას ფასი საგრძნობლად შემცირდება — განაცხადა სოციალურ ქსელში, ილონ მასკმა. სავარაუდოა, რომ მისი ფასი ადრე დაანონსებულ 25 000 დოლარს დაუბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ ავტოწარმოება გაძვირდა, მასზე მოთხოვნა მსოფლიოს მასშტაბით შემცირების ნაცვლად კვლავ იზრდება. კომპანიის წარმომადგენლები, გაზრდილი ხარჯების მიუხედავად, მომხარებლისთვის ოცნების მანქანის რამდენიმე ათასი დოლარით გაიაფებას, უახლოეს პერიოდში გეგმავენ.

მოამზადა **ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐᲛ**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17Ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7652; ᲔᲕᲠᲝ - 2.8299
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.3650;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4581; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1576;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6308;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.7878.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+17,	ᲓᲦᲔ	+35
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+13,	ᲓᲦᲔ	+32

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+18,	ᲓᲦᲔ	+33
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+16,	ᲓᲦᲔ	+33
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+23,	ᲓᲦᲔ	+35

ᲓᲐᲑᲒᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge